2. **დუშეთის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:**

ა) სოფ. მჭადიჯვარის მამული, სივრცით 22 დეს., აქედან ბაღ-ბოსტანი—7 დეს., ვენახი—1 დეს. და ხილის ბაღი—14 დეს., რომელიც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაშია.

ბ) სოფ. ოძისის მამული, სივრცით 15 დეს., აქედან სახნავი 8 დეს. და ბაღ-ბოსტანი—7 დეს., რომელიც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაშია;

გ) კრამიტის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ქსნის სადგურის რაიონში.

3. **გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:** სპირტის სახდელი ქარხანა სოფ. გომში.

4. **რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:** რაჭის მაზრაში მდებარე შემდეგი მამულები, რომელიც ამ ჟამად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არის:

ა) საძოვარი ადგილი „სახაროვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო“, სოფ. უწერაში, სივრცით 1.414 დეს.;

ბ) საძოვარი ადგილი „საბაქრაძეო“, სოფ. შქმერში, სივრცით 1.917 დეს.;

გ) საძოვარი ადგილი სოფ. სადმელში მდებარე მამული, სივრცით 104 დეს.;

დ) საძოვარი ადგილი „ბერისჯვარი“, „ნაგომარი“ და სხვ. სოფ. ლიხეთში მდებარე, სივრცით 429 დეს.;

ე) საძოვარი ადგილი „საწალიკე“, სოფ. ხოტევში, სივრცით 2.095 დეს.;

ვ) „საკაოს მთა“ და ტყე, სოფ საკაოში, სივრცით 13.245 დეს. და

ზ) საძოვარი ადგილი „სახვანჭკარო სატოლო“, სოფ. ხვანჭკარაში, სივრცით 1.078 დეს.

**5. სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:** სენაკის მაზრაში მდებარე საძოვარი ადგილი, „ასხის“ მთის საძოვრების გამოკლებით, სივრცით სულ 6.458 დეს., რომელიც არის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

**6. ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:** ზუგდიდის მაზრის ჯგალისა, აფხუანისა, ჯვარისა, ჭალისა და მუხურის აგარაკებში მდებარე საძოვრები, სივრცით 8.250 დეს., რომელიც არის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

**7. ქალაქ ფოთის აღმასრულებელ კომიტეტს:** კაპარჭინის, შავიღელეს დედაბერას, მალთაყვას და ფიჩორას მდინარეებისა და პალიასტომის ტბის სათევზაო ადგილები, რომელიც არის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

**8. ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს:** საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში ქონებული შემდეგი საწარმონი:

ა) ლუდის სახდელი ქარხანა;

ბ) კერამიული ქარხანა;

გ) ყინულის საკეთებელი ქარხანა;

დ) სამკერვალო.

**9. ქალაქ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს:**

კირის საწვავი ქარხანა.

**10. ბათომის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას:**

ა) კასრების დასამზადებელი მასალის ქარხანა;

ბ) სახერხი ქარხანა;

გ) ფანერის ქარხანა.

11. **ქალაქ ცხინვალის კომუნალურ მეურნეობას:** სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში კონებული შემდეგი საწარმონი:

ა) სახერხი ქარხანა ქ. ცხინვალში;
ბ) ცხინვალის ელსადგური;
გ) გრეხილი ავეჯის ქარხანა;
დ) ცხინვალის აგურქარხანა;
ე) კრამიტის ქარხანა სოფ. ქურთაში;
ვ) კირის საწვავი ქარხანა სოფ. მსხლებში.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი ქომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1926 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-109 №-ში 1926 წ. მაისის 16.

---

## 61. დადგენილება № 33

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საქართველოს სსრ სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და გაუქმების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 1925 წ. თებერვლის 23-ს დამტკიცებული „საქართველოს სსრ სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების დებულების შესახებ“ მე-8 და მე-13 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 8. „სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების გამგეს დანიშნავს და დაითხოვს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო სამხედრო კომისართან შეთანხმებით; ეს დანიშვნა თუ დათხოვნა გატარებულ უნდა იქნას

## 61. Постановление № 33

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменении и отмене некоторых статей Положения о военно-учетных столах в С.С.Р. Грузии.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Ст.ст. 8 и 13 утвержденного 23 февраля 1925 г. Положения о военно-учетных столах в С.С.Р. Грузии изменить, изложив в следующей редакции:

Ст. 8. „Заведывающий военно-учетным столом назначается и увольняется подлежащим Уездным Исполнительным Комитетом по соглашению с Уездным Военным Комиссаром, что проводится по приказу последнего“.

Ст. 13. „Заведывающий военно-учетным столом может быть освобож_

სამაზრო სამხედრო კომისარის ბრძანებაში".

მუხ. 13. „სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის გამგე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას მობილიზაციით ჯარში გაწვევისაგან იმ წესით, რაც განსაზღვრულია ს ს რ კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ" 1925 წლ. სექტემბრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 166 მუხლით."

2. ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული დებულების მე-10 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-123 №-ში 1926 წ. ივნისის 2.

ден от призыва в войска по мобилизации в порядке, установленном ст. 166 Постановления Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров С.С.С.Р. от 18 сентября 1925 г. „О ведении в действие закона об обязательной военной службе".

2. Ст. 10-ю Положения означенного в ст. 1-й сего постановления отменить.

3. Настоящее постановление вступает в силу со дня его опубликования.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. мая 15.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 123 от 2 июня 1926 г.

## 62. დადგენილება № 34

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უსასყიდლოდ გადასული ქონებისათვის დაწესებული გადასახადის ნორმების გაუქმების შესახებ.

რადგანაც სსრკ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1926 წლ. იანვრის 29-ს გამოსცეს მემკვიდრეობით და ჩუქებით გადასულ ქონებაზე დასადები გადასახადის დებულება, რომელიც, ამა დებულების სამოქმედოდ შემოღებისათვის გამოცემულ დადგენილების 1 მუხლის თანახმად, გავრცელებულ უნდა იქნეს ყველა ისეთ სამკვიდროსა და ქონებაზე, რაც ამა წლის მარტის 1-დან გაიხსნა და ამავე დროიდან ქმნილი აქ-

## 62. Постановление № 34

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

### Об отмене действовавших в С.С.Р. Грузии норм налога с безмездно переходящих имуществ.

Вследствие издания 29 января с. г. Центральным Исполнительным Комитетом Советов и Советом Народных Комиссаров Союза С.С.Р. Положения о налоге с имуществ, переходящих в порядке наследования и дарения, подлежащего, на основании 1 ст. Постановления о введении его в действие, применению ко всем, открывающимся с 1 марта с. г., наследствам и имуществам, переходящим в порядке дарения по актам, совершаемым начиная с того же срока, Всегрузинский Центральный Исполни-

ტის თანახმად გაჩუქების წესით გადადის,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს უსასყიდლოდ გადასული ქონების გადასახადის ის ნორმები, რაც მოქმედობდა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-125 №-ში 1926 წ. ივნისის 4,

тельный Комитет Советов постановляет:

Признать утратившим силу действовавшие в С.С.Р. Грузии нормы налога с имуществ, переходящих безмездным способом.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. мая 15.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 125 от 4 июня 1926 г.

---

## 63. დადგენილება № 35

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასასვლელი ქონების რაოდენობის შეზღუდვის გაუქმების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 16-ის თარიღის და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სამოქ. სამ. კოდ. 138, 416, 419 მუხ., 420 მუხლის შენიშვნისა, 421 მუხლის მე-2 შენიშვნისა, 428 მუხლის 1-ლი შენიშვნის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 138. ხელშეკრულება ისეთი ქონების უსასყიდლოდ დათმობის შესახებ (გაჩუქება), რომლის ღირებულ. ათას მან.

## 63. Постановление № 35

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С.Р. Грузии**

**Об отмене ограничения размера имущества, могущего переходить в порядке наследования и дарения.**

В порядке 2 ст. Постановления 2 сессии II созыва ВЦИК'а, от 16 марта 1924 г. за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляют:

I.

Ст.ст. 138, 416, 419, примечание к 420, 2-е примечание к 421, примечание 1-е к 428 ст.ст. Гр. Кодекса изложить в следующей редакции:

Ст. 138. Договор о безвозмездной усупке имущества (дарение) на сумму более тысячи руб. должен быть, под страхом недействительности, облечен в нотариальную форму.

Ст. 416. Наследование по закону и по завещанию регулируется нижеследующими статьями.

აღემატება, ბათილობის რიდით დადებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.

მუხ. 416. კანონით ან ანდერძით ქონების დამკვიდრება მოწესრიგდება ქვემო აღნიშნული მუხლებით.

მუხ. 419. ქონების კანონით დამკვიდრება შეიძლება ყველა შემთხვევაში, უკეთუ ის შეცვლილი არ არის ანდერძით.

მუხ. 420.

**შენიშვნა** 1. სახლის მოწყობილობა ფუფუნების საგნების გამოკლებით გადადის თანასწორ წილად 418 მუხლში ჩამოთვლილი მემკვიდრეთა შორის იმათზე, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ან იმ პირებზე, რომელნიც ანდერძში არიან აღნიშნული.

მუხ. 421.

**შენიშვნა** 2. მოანდერძეს უფლება აქვს დაუტოვოს მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი კულტურულ, განმანათლებელ ან სხვა, კანონის არა საწინააღმდეგო, საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს.

მუხ. 428.

**შენიშვნა** 1. უარი მემკვიდრეობაზე განცხადებულ უნდა იქნეს სათანადო სასამართლოში სამი თვის განმავლობაში დღიდან მემკვიდრეობის გახსნისა. იმ პირის წილი, რომელიც უარს განაცხადებს, გადადის სხვა მემკვიდრეებზე 418 მუხლში აღნიშნული წესით.

II.

417 მუხ. ამოიშალოს.

III.

დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის მარტის 1-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.

ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-160 №-ში 1926 წ. ივლისის 15.

Ст. 419. Наследования по закону к имуществу имеет место во всех случаях, когда и поскольку оно не изменено завещанием.

*Примечание к ст. 420.* Домашняя обстановка, за исключением предметов роскоши, переходит в равных долях к тем из перечисленных в ст. 418, кто совместно проживал с умершим, или же к лицам, указанным в завещании.

*Примечание 2 к ст. 421.* Завещатель вправе оставить все свое имущество или часть его в распоряжение культурных, просветительных или иных непротивных закону общественных или же государственных учреждений.

*Примечание к ст. 428.* Отказ от наследства должен быть заявлен в течение 3 месяцев после открытия наследства подлежащему Суду. Доля отказавшегося переходит к другим наследникам в порядке, указанном в ст. 418.

II.

417 ст. исключить.

III.

Настоящее Постановление вступает в силу с 1 марта 1926 года.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. «Коммунист» № 160 от 15 июля 1926 г.

## 64. დადგენილება № 36

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხ. შეცვლისა, იმავე კოდექსისათვის $80^1$ და $80^2$ მუხლის დამატებისა და $79^1$ მუხლის ამოშლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 78. სახელმწიფო თუ ადგილობრივი გადასახადისა ან გამოსაღების გაღებაზე ან კანონიერად შემოღებული ბეგარის მოხდაზე წინასწარი შეთანხმებით მასიური უარის თქმა გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით და თანაც ჯარიმას შეწერილი გადასახდელისა და ბეგარის ორმაგი რაოდენობით, ხოლო, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციას;

დანარჩენ მონაწილეთათვის—

ჯარიმას იმავე გადასახდელებისა და ბეგარის რაოდენობით.

მუხ. 79. სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, ან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახდელის ვადაზე გაუღებლობა, იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეს შეეძლო მათი გადახდა, უკეთუ მას უკვე შეეფარდა გადახდევინების

## 64. Постановление № 36

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С.Р. Грузии**

**Об изменении 78, 79 и 80 ст.ст. Уголовного Кодекса, о дополнении его $80^1$ и $80^2$ статьями и об исключении $79^1$ статьи.**

В Порядке 2 ст. Постановления 2 сессии II созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов от 10 марта 1924 г. за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляют:

I.

Редакцию 78, 79 и 80 ст.ст. Уголовного Кодекса С.С.Р. Грузии изменить следуюшим образом:

Ст. 78. Массовый отказ по предварительному сговору от платежа государственных или местных налогов или сборов, или от выполнения повинностей, в законном порядке установленных, влечет за собой:

в отношении подстрекателей, руководителей и организаторов—лишение свободы на срок не ниже шести месяцев со строгой изоляцией и со штрафом в двойном размере причитающихся платежей и повинностей, а при особо отягчающих обстоятельствах—с конфискацией всего или части имущества;

в отношении прочих участников—штраф в размере тех же платежей и повинностей.

Ст. 79. Неплатеж в установленный срок государственных или местных налогов и сборов или невзнос платежей по обязательному окладному страхованию, несмотря на наличие к тому возможности, в случае применения мер взыскания в виде описи имущества или продажи описанного имущества с торгов, хотя бы один раз в предшествующем окладном году или дважды в текущем, влечет за собой:

в первый раз—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიება მით, რომ გასულ საშენაწერო წელს—თუნდაც ერთხელ, ხოლო მიმდინარე საშენაწერო წელს—ორჯერ, აუწერეს ან საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს აწერილი ქონება, გამოიწვევს

პირველად—ჯარიმას იმავე გადასახდელის რაოდენობით;

მეორედ—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე გადასახდელის გაორკეცებული რაოდენობით.

ბეგარის მოხდაზე ან საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს:

პირველად—

ადმინისტრატიულ გადასახდელს, რასაც კანონით დაწესებულ ფარგალში გადასწყვეტს სათანადო ხელისუფლების ორგანო;

მეორედ—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე ბეგარისა და სამუშაოს რაოდენობით.

მუხ. 80. ურთიერთი შეთანხმებით მოწყობილი გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხი საგნებისა, ან ამ საგნების რაოდენობაზე ტყუილი ცნობების მიცემა, გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა ქონების ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ;

დანარჩენ მონაწილეთათვის—

ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნების ღირებულებისა.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს $80^{1}$ და $80^{2}$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. $80^{1}$. ცალკე პირის მიერ გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხი საგნისა ან ამ საგანზე წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა, უკეთუ სპეციალური დებულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ შედეგი, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ფულად ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

მუხ. $80^{2}$. თავის არიდება საფინანსო ორგანოს მოთხოვნით ცნობის წარდგე-

штраф в размере тех же платежей;

во второй раз—

лишение свободы или принудительные работы на срок до шести месяцев или штраф в двойном размере тех же платежей.

Отказ от выполнения повинностей или производства работ, имеющих обще-государственное значение, влечет за собой:

в первый раз—

административное взыскание, налагаемое соответствующими органами власти в пределах, законом установленных.

во второй раз—

лишение свободы или принудительные работы на срок до шести месяцев или штраф в размере тех-же повинностей и работ.

Ст. 80. Организованное по взаимному соглашению сокрытие или неверное показание количества подлежащих обложению или учету предметов влечет за собой:

в отношении подстрекателей, руководителей и организаторов—

лишение свободы на срок не ниже шести месяцев с конфискацией части имущества или без таковой;

в отношении прочих участников—

штраф не свыше двойного размера причитающихся платежей или стоимости сокрытого предмета.

II.

Дополнить Уголовный Кодекс $80^{1}$ и $80^{2}$ ст.ст. следующего содержания:

Ст. $80^{1}$. Сокрытие отдельными лицами подлежащих обложению или учету предметов или дача заведомо ложных сведений о таковых предметах, если специальными положениями не предусмотрено иных последствий, влечет за собой

принудительные работы на срок до шести месяцев, или денежный штраф в размере не свыше двойного размера причитающихся платежей или стоимости сокрытого предмета.

Ст. $80^{2}$. Уклонение от представле-

ნისათვის ან წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა მენარჩენის ქონების შესახებ იმ კერძო პირის მიერ, ვისთვისაც ამ ქონებაზე ცნობების მიცემა სავალდებულოა და ვინც იმავე დროს ეს ქონება იცის, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

III.

სისხლის სამართლის კოდექსის 79¹ მუხლი ამოშლილ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-36 №-ში 1926 წ. აგვისტოს 13.

ния по требованию финансовых органов частными лицами, обязанными к тому по закону, сведений об известном им имуществе недоимщика, или дача заведомо ложных указаний о таковом имуществе влечет за собой

принудительные работы до трех месяцев или штраф до трехсот руб.

III.

Ст. 79¹ Уголовного Кодекса исключить.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист“ № 183 от 13 августа 1926 г.

---

## 65. დადგენილება № 37

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 101¹ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 101¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

## 65. Постановление № 37

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С. С. Р. Грузии**

**О дополнении Гражданского Кодекса ст. 101¹.**

В порядке ст. 2 Постановления 2 сессии II созыва ВЦИК-а от 10 марта 1924 г. за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляют:

Дополнить Гражданский Кодекс статьей 101¹ следующего содержания:

101¹. Обеспеченные залогом требования кредитных учреждений, действующих в установленном порядке, в случае недостаточности прочего имущества должника, удовлетворя-

$101^{1}$. დადგენილი წესით მომქმედი საკრედიტო დაწესებულების ისეთი მოთხოვნა, რაც გირაოთია უზრუნველყოფილი, უკეთუ მოვალის სხვა ქონება საკმარისი არ იქნება, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებული ქონების ღირებულებიდან უპირატესად ყველა სხვა პრეტენზიისა, გარდა: ა) იმ პრეტენზიისა, რაც გამომდინარეობს სამუშაო ხელფასიდან, სოციალური დაზღვევიდან და ალიმენტებიდან, და ბ) დაგირავებულ ქონებაზე დადებული სააქციზო გადასახდელისა, უკეთუ ეს ქონება დაგირავებულია იმ დროს, როდესაც იგი წარმოების ადგილას იყო, საბაზისო საწყობში ან და საბაჟოში.

**შენიშვნა** 1. სააქციზო გადასახდელი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებულ ქონებიდან უპირატესად, ვიდრე საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნა, მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო საფინანსო ორგანოსაგან საკრედიტო დაწესებულების მიერ მიღებულ ცნობაში სააქციზო გადასახდელის იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ედვა დაგირავებულ ქონებას დაგირავების მომენტის დროს.

**შენიშვნა** 2. ამა მუხლის წესი არა სპობს რკინის გზის უფლებას, რაც დამყარებულია რკინის გზების წესდების 68 მუხლზე (სსრკ კან. კრებულ. 1925 წ. 84 №-რი, მუხ. 630).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე

ются из ценности заложенного имущества преимущественно пред всеми другими претензиями, за исключением: а) претензий по заработной плате, по социальному страхованию и по алиментам и б) взысканий по акцизу, лежащему на заложенном имуществе, если оно было заложено во время его нахождения в месте производства, на базисном складе или в тамсжне.

*Примечание 1.* Взыскание по акцизу удовлетворяется из ценности заложенного имущества преимущественно пред требованием кредитного учреждения лишь в пределах суммы, означенной в полученной кредитным учреждением справке подлежащего финансового органа о размере акциза, лежавшего на заложенном имуществе к моменту залога.

*Примечание 2.* Правило настоящей статьи не отменяет права железных дорог, основанного на ст. 68 Устава железных дорог (Собр. Зак. С.С.С.Р. за 1925 г. № 84, ст. 630).

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респуб. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Гифлис—Дворец.

## 66. დადგენილება № 38

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**თამასუქის დებულების მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.**

თამასუქის დებულების 12-მუხლის (კან. კრებ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) შესაცვლელად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

თამასუქის დებულების მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

12. პროტესტის მოსახდენად თამასუქის პატრონმა თამასუქი უნდა წარუდგინოს სანოტარო ორგანოს, ხოლო, უკეთუ იმ ადგილას, სადაც თამასუქით ფული უნდა გადახდილიყო, ასეთი ორგანო არ არის,—სახალხო მოსამართლეს—მეორე დღეს იმ ვადის გასვლისას, რა ვადაზედაც თამასუქის გამცემმა გადახდა იკისრა. ორი დღის განმავლობაში თამასუქის ვადის დადგომის შემდეგ სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ პირადად ან წერილობით უნდა მოსთხოვოს თამასუქით ვალდებულ პირებს გადახდა, და, უკეთუ მესამე დღეს თამასუქის ვადის დადგომის შემდეგ, 15 საათამდე თამასუქით ფული არ იქნება გადახდილი, სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ იმავე დღეს უნდა მოახდინოს თამასუქის პროტესტი განსაკუთრებულ რეესტრში ჩაწერით და თვით თამასუქზე აღნიშვნით.

**შენიშვნა.** უკეთუ გამოურკვეველია თამასუქით-ვალდებული პირის საცხოვრებელი ადგილი ან და უკეთუ იგი იმ ადგილას არ იმყოფება, სადაც თამასუქით ფული უნდა გადახდილიყო, თამასუქის პროტესტი მოხდება ფულის გადახდის მოუთხოვნელად, და ამასთანავე, იმის საფუძველი, თუ რატომ არ იყო გადახდა მოთხოვნილი, აღინიშნე-

## 66. Постановление № 38

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменении ст. 12 Положения о векселях.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов во изменение ст. 12 Положения о векселях (Собр. Узак. 1925 г. № 1 ст. 7) постановляет:

Ст. 12. Положения о векселях изложить в следующей редакции:

Ст. 12. Для совершения протеста векселедержатель должен пред'явить вексель в нотариальный орган, а в случае отсутствия такового в месте платежа, народному судье на следующий день после срока, в который векселедатель обязался уплатить по векселю. В течение двух дней после наступления срока по векселю нотариальный орган или судья пред'являют лично или письменно требование о платеже обязанным по векселю лицам, и, если до 15 часов третьего после срока по векселю дня, платеж не поступит, нотариальный орган или народный судья в тот же день протестуют вексель путем записи о протесте в особый реестр и отметки на самом векселе.

*Примечание.* В случае неизвестности места нахождения обязанных по векселю лиц, а также нахождения их не в месте платежа, протест производится без пред'явления требования о платеже с тем, чтобы основание непред'явления требования о платеже было указано как в записи о протесте в особом реестре, так и в отметке на самом векселе.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

ბა როგორც განსაკუთრებული რეესტრის ჩანაწერში პროტესტის შესახებ, ისე თვით თამასუქზე გაკეთებულ შენიშვნაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე

## 67. დადგენილება № 39

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სისხლის სამ. კოდ. 30 მუხ. რედაქციის შეცვლისა, ამავე კოდექსის 28 და 30 მუხლისათვის შენიშვნების დამატებისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.**

თანახმად სსრკ ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის თებერვლის 19-ის დედგენილებისა—სამხედრო დანაშაულთა დებულების 1 მუხ. შევსების შესახებ—და იმავე წლის მარტის 5-ის დადგენილებისა—სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა მე-18 და 19 მუხლისა, აგრეთვე სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4, 6 და 11 მუხ. შევსებისა და შეცვლის შესახებ,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახ. კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდ. 30 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 30. იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად გადაწყვეტილ უნდა იქნეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. მისი მოხდის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსით.

## 67. Постановление № 39

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С.Р. Грузии**

**Об изменении редакции ст. 30-й Уголовного Кодекса, о дополнении 28 и 30-й ст.ст. того же Кодекса примечаниями, и об изменении и дополнении некоторых ст.ст. Положения о воинских преступлениях.**

На основании Постановлений Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Союза С.С.Р. от 19-го февраля 1926 года о дополнении ст. 1 Положения о воинских преступлениях и от 5-го марта того же года о дополнении и изменении ст.ст. 18 и 19 Основных начал уголовного законодательства Союза С.С.Р. и Союзных Республик и ст.ст. 4, 6 и 11 Положения о воинских преступлениях, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляют:

I.

Редакцию 30-й ст. Уголовного Кодекса С.С.Р. Грузии изменить следующим образом:

Ст. 30. Принудительные работы без лишения свободы назначаются на срок не свыше одного года и отбываются в порядке, предусмотренном

II·

სისხლის სამართლის კოდ. 28 და 30 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები

მუხ. 28.

**შენიშვნა** 2. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის სამერიგეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელსაც სათანადო სასამართლომ სამხედრო ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა გადაუწყვიტა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, სასტიკი იზოლაციისა და უფლების შეზღუდვის შეუფარდებლად,—უნდა გაიგზავნოს საშტრაფო ნაწილში.

უკეთუ საშტრაფო ნაწილში ყოფნის ვადა ორ თვეს არ აღემატება, იგი მოიხდება იმ წესით, რაც დადგენილია სადისციპლინო წესით დატუსაღებისათვის.

მუხ. 30.

**შენიშვნა 3.** მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის სამერიგეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის სამხედრო მსახურისათვის შესაფარდებელი იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად შეიცვლება თავისუფლების აღკვეთად იმ ვადით, რაც შესაფარდებელი იძულებითი მუშაობის ვადის ერთ მეექვსედს უდრის.

III·

სამხედრო დანაშაულთა დებულების (საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდ. დანართი) 1 მუხლს დაემატოს შენიშვნა და შეიცვალოს მე-4, 6 და 11 მუხლის რედაქცია.

მუხ. 1.

**შენიშვნა.** სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი დანაშაული, რასაც ჩაიდენს გზათა სახ. კომისარიატის განსაკუთრებული შეიარაღებული რაზმის (რეზერვის) სამწყობრო შედგენილობის პირი და რაც მიმართული იქნება სამსახურის ასრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ.

მუხ. 4. შეურაცხყოფა ძალადობითი მოქმედებით სამხედრო მსახურის მიერ თავისი უფროსისა, როდესაც ეს უკანასკნელი სამსახურის მოვალეობას ასრულებდა, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღო-

правилами Исправительно-Трудового Кодекса.

II.

Ст.ст. 28 и 30 Угол. Код. дополнить следующими примечаниями:

Ст. 28. *Примечание 2.* Военнослужащие рядового и младшего начальствующего состава кадров Рабоче-Крестьянской Красной Армии, приговоренные подлежащими судами за воинские или общеуголовные преступления к лишению свободы на срок не более одного года без строгой изоляции и без поражения прав, направляются в штрафные части.

Содержание в штрафных частях на срок, не превышающий двух месяцев, отбывается в порядке, установленном для дисциплинарных арестов.

Ст. 30. *Примечание 3.* Принудительные работы без лишения свободы в отношении военнослужащих рядового и младшего начальствующего состава кадров Рабоче - Крестьянской Красной Армии заменяются лишением свободы на срок, равный одной шестой подлежащего применению срока принудительных работ.

III.

Включить в Положение о воинских преступлениях (приложение к Уголовному Кодексу С.С.Р.Г.) примечание к ст. 1-й и измененные редакции ст.ст. 4, 6 и 11-й.

Ст. 1. *Примечание.* Воинскими преступлениями признаются также преступления лиц строевого состава особых вооруженных отрядов (резервов) Народного Комиссариата Путей Сообщения, направленные против установленного порядка несения службы.

Ст. 4. Оскорбление насильственным действием военнослужащим своего начальника при выполнении последним служебных обязанностей влечет за собой применение меры

ნისძიებად თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

უკეთუ შეურაცხყოფა მიყენებულ იქნა მხოლოდ სიტყვით ან არაძალადობითი მოქმედებით, შეფარდებულ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, დამნაშავეს უნდა შეეფარდოს სადისციპლინო წესდება. იგივე ქმედობა, ჩადენილი იმავე პირობებში უფროსის მიერ თავისი ხელქვეითი სამხედრო მსახურის მიმართ, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას იმავე საფუძველზე.

მუხ. 6. გაქცევა პირველად: ა) უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, ან უკეთუ დამნაშავე პოლიტიკურად ნაკლებადაა შეგნებული, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას 3 თვემდე; ბ) შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე— თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

მუხ. 11. სამხედრო მსახურის მიერ საყარაულო სამსახურის წესდებისა და ამ წესდების განსავითარებლად კანონიერად გამოცემული განსაკუთრებული ბრძანებისა და განკარგულების დარღვევა, უკეთუ ამ დარღვევას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, შეფარდებულ უნდა იქნეს სადისციპლინო წესდება.

იგივე ქმედობა, იმავე პირობებში, მაგრამ ისეთ ყარაულში ჩადენილი, რომელიც ჰგუშაგობს ტუსაღებს, ფულის საცავსა და ყუთებს, იარაღის, სასროლი მასალის და ასაფეთქებელი ნივთიერებათა საწყობს, აგრეთვე ისეთ ყარაულში, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო მნიშვნელობა აქვს, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ მას მოჰყვა ერთ-ერთი იმ მავნე შედეგთაგანი, რომლის ასაცდენადაც ეს ყარაული იყო დაწესებული, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად: მშვიდობიანობის დროს—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით; ხოლო ომიანობის დროს ან ბრძო-

социальной защиты в виде лишения свободы со строгой изоляцией на срок не ниже одного года.

Если же оскорбление было нанесено только на словах или ненасильственным действием, то применяется лишение свободы на срок до 6 месяцев; при смягчающих же обстоятельствах применяются правила Устава дисциплинарного. Те-же деяния, учиненные при тех же условиях начальником в отношении подчиненного ему военнослужащего, влекут за собой применение мер социальной защиты на тех же основаниях.

Ст. 6. Побег, совершенный в первый раз: при а) наличии смягчающих обстоятельств или малой политической сознательности влечет за собой применение в качестве меры социальной защиты лишение свободы на срок до 3 месяцев; б) при отсутствии смягчающих обстоятельств применяется лишение свободы на срок до одного года.

Ст. 11. Нарушение военнослужащим уставных правил караульной службы и законно изданных в развитие этих правил особых приказов и распоряжений, не сопровождавшееся вредными последствиями, влечет за собой применение меры социальной защиты в виде лишения свободы на срок до 6 месяцев; при смягчающих обстоятельствах применяются правила Устава дисциплинарного.

То же деяние и при том же условии, если оно было учинено в караулах, имеющих посты у арестованных, у денежных кладовых и ящиков, складов оружия, огнестрельных припасов и взрывчатых веществ, а равно в караулах, имеющих особо важное государственное или военное значение, влечет за собой применение меры социальной защиты в виде лишения свободы до одного года.

То же деяние, сопровождавшееся одним из вредных последствий, в предупреждение которых учрежден данный караул, влечет за собой: если оно было совершено в мирное время—лишение свободы со строгой изоляцией на срок не ниже одного года; если же оно было совершено

ლის პირობებში—სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას, რაც შემამსუბუქებელ გარემოებაში შეიძლება შემცირებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-204 №-ში 1926 წ. სექტემბრის 8.

в военное время или в боевой обстановке—высшую меры социальной защиты с понижением при смягчающих обстоятельствах до лишения свободы со строгой изоляцией на срок не ниже 3 лет.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист" № 204 от 8 сентября 1926 г.

---

## 68. დადგენილება №40

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის დებულების დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ 1923 წლის მაისის 4-ს დამტკიცებულ დებულებას დაემატოს $8^1$—$8^8$ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

8-1. მიეცეს უფლება ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებით დააწესოს ქ. ტფილისისათვის ჯარიმის გადახდევინება ამა დებულების მე-8-2 მუხ. გათვალისწინე-

## 68. Постановление № 40

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О дополнении положения о порядке издания обязательных постановлений и о наложении за их нарушение взысканий в административном порядке.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Дополнить утвержденное Всегрузинским Центральным Исполнительным Комитетом 4 мая 1923 года Положение о порядке издания обязательных постановлений и о наложении за их нарушение взысканий в административном порядке статьями $8^1$—$8^8$ следующего содержания:

$8^1$. Предоставить Тифлисскому Уездному Исполнительному Комитету право устанавливать для г. Тифлиса в издаваемых им обязательных постановлениях взыскание штрафов, в указанных в ст. $8^2$ настоящего Положения случаях, на месте совершения нарушения.

ბულ შემთხვევაში დარღვევის ჩადენის ადგილასვე.

$8^2$. ჯარიმის გადახდევინება დარღვევის ჩადენის ადგილასვე მოხდება იმ შემთხვევაში, უკეთუ დარღვეულ იქნა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც მოწესრიგებულია ქუჩებში მოძრაობა და საჯარო ადგილას წესრიგის დაცვა (თამბაქოს მოწევა, პაპიროსების ნამწვავების იატაკზე დაგდება, ქუჩების გაჭუჭყიანება, ეტლებისა, ავტომობილებისა და სხვ. მოძრაობა) ჯარიმის გადახდევინებას სათანადო ქვითარების გაცემით აწარმოებენ მილიციის თანამშრომელნი, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ამ დადგენილებების შესრულებას.

**შენიშვნა.** სავალდებულო დადგენილებაში იმ საქმეების შესახებ, რომლის გამოც ჯარიმა მილიციის თანამშრომელმა უნდა დაადოს, გარკვევით აღინიშნება დარღვევის ხასიათი და ჯარიმის რაოდენობა.

8-$^3$. ჯარიმის რაოდენობა სამ მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

8-$^4$. ამა დებულების მე-8-$^2$ მუხ. გათვალისწინებულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის ადგილასვე დასადები ჯარიმის გადახდევინება დაეკისრება მორიგ საუბნო და საგუშაგო მილიციონერებს, ხოლო ამ მილიციონერებს უფლება არა აქვთ შეამცირონ ან გაადიდონ სავალდებულო დადგენილებით განსაზღვრული ჯარიმის რაოდენობა.

8-$^5$. უკეთუ დამრღვევი უარს განაცხადებს ამა დებულების მე-8-$^1$ მუხ. აღნიშნულ წესისამებრ დადებული ჯარიმის გადახდაზე, იგი გაიგზავნება უახლოეს სარაიონო მილიციის სამმართველოში ოქმის შესადგენად, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს მის მიერ ჯარიმის გადახდაზე უარის განცხადება.

8-$^6$. წინა მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში ჯარიმა დაიდება ამა დებულების მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

8-$^7$. მორიგე და უფროს თუ გუშაგ მილიციონერის მიერ დაჯარიმებულ პირს შეუძლიან შეიტანოს საჩივარი ტფილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის სახელზე, ხოლო საჩივრის შეტანა არ შეაჩე-

$8^2$. Взыскание штрафов на месте совершения нарушения может иметь место в случаях нарушения обязательных постановлений, регулирующих уличное движение и порядок в общественных местах (курение, бросание окурков, загрязнение, нарушение правил движения трамваев, автомобилей, фаэтонов, линеек и т. д.). Взыскание производится под квитанцию работниками милиции, непосредственно наблюдающими за исполнением этих постановлений.

*Примечание*. В отношении дел, по коим взыскания налагаются работниками милиции, в обязательном постановлении должны быть точно указаны характер правонарушений и размер штрафов.

$8^3$. Размер штрафа не может превышать 3-х рублей.

$8^4$. Взыскание штрафов на месте совершения нарушения обязательных постановлений, означенных в ст. $8^2$ настоящего Положения, возлагается на дежурных, участковых старших и постовых милиционеров, при чем милиционеры эти не имеют права повышать или понижать установленный в обязательном постановлении размер штрафа.

$8^5$. При отказе от уплаты штрафа, наложенного в порядке, указанном в ст. $8^1$ настоящего Положения, нарушитель препровождается в ближайшее управление районной милиции для составления протокола с занесением в последний отказа нарушителя от уплаты штрафа.

$8^6$. В указанном в предыдущей статье случае штраф налагается в порядке ст.ст. 9 и 10 настоящего Положения.

$8^7$. На наложенный дежурными, старшим или постовым милиционерами штраф может быть подана жалоба Начальнику Административного Отдела Тифлисского Исполкома, при чем подача жалобы не приостанавливает исполнения.

$8^8$. Народному Комиссару Внутренних Дел, по соглашению с Народным Комиссаром Юстиции и Наркомфином С. С. Р. Грузии, поручает-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

$8^8$. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს დაევალება, იუსტიციის სახალხო კომისარსა და ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით, შეიმუშაოს ერთი თვის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

ся в месячный срок выработать инструкцию по проведению в жизнь настоящего постановления.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

---

## 69. დადგენილება №41

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის 1924 წ. აპრილის 22 გამოცემული დასჯის წესების გაუქმების შესახებ.**

რადგანაც ს. ს. რ. კ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წ. ოქტომბრის 23 გამოსცეს დადგენილება— სპირტის სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის არსებული აქციზის და განსაკუთრებულ საპატენტო გამოსაღების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების წესის შესახებ („იზვესტია"-ს 1925 წ. 258 №-რი), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. აპრილის 22 თარიღისა და 84 №-რის დადგენილებით დამტკიცებული წესები არა-

## 69. Постановление № 41

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об отмене изданных 22 апреля 1924 г. правил о взысканиях за нарушение действующих постановлений о косвенных налогах.**

Вследствие издания Центральным Исполнительным Комитетом и Советом Народных Комиссаров Союза С.С.Р. 23 октября 1925 г. постановления о порядке наложения взысканий за нарушение постановлений об акцизах и особом патентном сборе за право торговли спиртными напитками и табачными изделиями („Известия" 1925 г. № 258), Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Утвержденные Постановлением Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов от 22 апреля 1924 г. за № 84 правила о наложении взысканий за нарушение

პირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის შესახებ (კან. კრებული 1924 წ. №1, მუხ. 16).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-160 №-ში 1926 წ. ივლისის 15.

действующих постановлений о косвенных налогах (С. У. 1924 г. № 1, ст. 16) отменить.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист" № 160 от 15 июля 1926 года.

---

## 70. დადგენილება № 42

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლის დანართით შევსებისათვის „ბეითალმანი ქონების შესახებ".**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II სესიის 1924 წლის მარტის 10-ის და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1924 წლის სექტემბრის 20-ის დეკრეტი „ბეითალმანი ქონებისა და იმ ქონების შესახებ, რაც სახელმწიფოზე მემკვიდრეობის წესით გადადის და აგრეთვე ქალაქში მდებარე ქონების შეფასების შესახებ" გაუქმებულ იქნეს, და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლი შევსებულ იქნეს შემდეგი დანართით:

1. ბეითალმანი კომლის ქონება გადადის იმ თემის აღმასკომის განკარგულებაში, რომლის ფარგლებშიაც კომლი იმყოფებოდა.

2. ქალაქში აღნაგობის უფლება და არამუნიციპალიზაცია-ქმნილი შენობა

## 70. Постановление № 42

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С.Р. Грузии**

**О дополнении 432 ст. Гражданского Кодекса приложением „О выморочном имуществе".**

Согласно 2 статьи Постановления 2 сессии II созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета от 10 марта 1924 года за № 77, Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С С.Р. Грузии, в отмену декрета от 20 сентября 1924 года „Об имуществе выморочном и переходящем к государству в порядке наследственного права и об оценке городских имуществ", постановляют: снабдить 432 ст. Гражданского Кодекса следующим приложением:

1. Имущество выморочного двора поступает в распоряжение Исполкома того теми, в пределах коего находится двор.

2. В городских поселениях права на застройку и немуниципализированные строения поступают в распоряжение Коммунального Отдела по месту нахождения таковых.

3. Промышленные предприятия, имеющие государственное значение, поступают в распоряжение Высшего

გადადის ადგილობრივი კომუნალური განყოფილების განკარგულებაში.

3. ის სამრეწველო საწარმო, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადადის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებაში. ხოლო ის სამრეწველო საწარმო, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, გადაეცემა ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც უკეთუ ვერ გამოიყენებს ამ საწარმოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით, გაჰყიდის მას საჯარო ვაჭრობით. გაყიდვით შემოსული ფული სახელმწიფო ხაზინაში შეიტანება.

4. კვებისა, პირველი მოთხოვნილებისა და სოფლის მეურნეობის საგნები და აგრეთვე ყველა ბეითალმანი ქონება, რაც დარჩება სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი პირის სიკვდილის შემდეგ, გადადის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და ჩაირიცხება სოციალური უზრუნველყოფის ნატურალურ ფონდში; თანაც აქციზ-გადუხდელი საგნები სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გადაეცემა მას შემდეგ, როცა იგი გადაიხდის აქციზს იმ განაკვეთით, რაც მოქმედობს საგნის გადაცემის დროს.

5. ხელოვნების საგნები და სიძველენი, რასაც განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე წიგნების კოლექცია გ დადის განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მუზეუმისა, უნივერსიტეტისა, და სხვ. განმანათლებელი დაწესებულებებისათვის გადასაცემად.

6. ყველა ნაღდი ფული და ფულადი თანხა, რაც იქნება საბჭოთა და უცხოეთის ვალიუტად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, ძვირფასი ლითონი და თვალი, პაი, აქცია და ობლიგაცია, აგრეთვე ფულის თანხა, აღებული გავალებული ქონების გადახდევინებით, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად.

7 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით სავაჭრო საწარმო ან მისი საქონელი და საგნები, გარდა იმ ქონებისა, რაც ჩამოთვლილია მე-4 – 6 მუხლში, შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიებს შეფასებით. ქონების გადაცემისათვის შესდგება კომისია ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის

Совета Народного Хозяйства. Промышленные же предприятия, не имеющие государственного значения, передаются местным уисполкомам, которые, в случае неиспользования этих предприятий, продают их с публичных торгов с ра решения Наркомфина. Вырученные от продажи деньги поступают в доход казны.

4. Предметы питания, первой необходимости и сельского хозяйства, а также всякое выморочное имущество, оставшееся после смерти лица, находившегося на социальном обеспечении, поступает в распоряжение Собеса, и обращается в натуральный фонд социального обеспечения, причем предметы, неоплаченные акцизом, передаются Народному Комиссариату Социального Обеспечения по уплате им акциза по ставкам, действующим в момент передачи.

5. Все предметы искусства и старины, имеющие особую художественную и историческую ценность, а также собрания книг поступают в распоряжение Народного Комиссариата Просвещения для передачи музеям, университетам и другим просветительным учреждениям.

6. Все наличные деньги и денежные капиталы в союзной и иностранной валюте, государственные ценные бумаги, благородные металлы и драгоценные камни, паи, акции и облигации, а также суммы, полученные при взыскании долгового имущества, поступают в доход Государства.

7. По постановлению Высшего Совета Народного Хозяйства торговые предприятия или находящиеся в них товары и предметы, за исключением имуществ, перечисленных в ст.-ст. 4-6, могут быть переданы Г сударственным и Кооперативным магазинам по оценке. Комиссия по передаче имуществ составляется из представителей финансового Отдела местных Исполкомов и Потребительского Кооперативного об'единения.

8. Прочее выморочное наследственное имущество продается с публичных торгов, и деньги вносятся в доход Государства

9. Разногласия между органами го

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფინანსო განყოფილებისა და სამომხმარებლო კოოპერატივების შენაერთის წარმომადგენლებისაგან.

8. დანარჩენი ბეითალმანი სამკვიდრო ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით და აღებული ფული ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავლად.

9. სახელმწიფო ორგანოთა შორის შეუთანხმებლობას იმ ქონების განაწილებისა ან ლიკვიდაციის შესახებ, რაც სახელმწიფოს გადაეცა, გადასწყვეტს სახალხო კომისართა საბჭო.

10. საჯარო ვაჭრობის ხარჯი გაღებულ უნდა იქნეს იმ თანხიდან, რაც ბეითალმანი ქონების გაყიდვით იქნება აღებული.

11. ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია ფისკის ორგანოს მიერ ან მისი მოთხოვნით ჩადენილ მოქმედებასთან ბეითალმანი ქონებისა და მისი ღირებულების გამოსარკვევად, ამ ქონების დასაცავად ან სალიკვიდაციოდ, გაღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული კრედიტიდან, რომელიც საბიუჯეტო წესით იქნება ვადა დადებული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-217 №-ში 1926 წ. სექტემბრის 11.

сударства по вопросам о распределении или ликвидации имущества, переданного Государству, разрешаются Советом Народных Комиссаров.

10. Расходы, связанные с производством торгов, покрываются из денег, вырученных от продажи выморочного имущества.

11. Все расходы, соединенные с производством органами фиска или по их требованию действий, вызываемых необходимостью выяснения состава, охранения, установления ценности, ликвидации выморочного имущества, покрываются из особого кредита, ассигнованного в бюджетном порядке.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист“ № 207 от 11 сентября 1926 г.

## 71. დადგენილება № 43

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

## 71. Постановление № 43

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об утверждении Положения о порядке издания Темскими Советами обязательных постановлений и наложения административных взысканий за их нарушения.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Утвердить и ввести в действие нижеследующее Положение о порядке издания Темскими Советами обяза-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ.

## დებულება

**სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ.**

1. სათემო საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება:

ა) სანიტარულ ღონისძიებათა მიღებისათვის (პირველ რიგში წყლის გაბინძურების წინააღმდეგ);

ბ) სტიქიურ უბედურების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის;

გ) ხანძარის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღებისათვის;

დ) ეპიდემიისა, ეპიზოოტიისა და მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

ე) ნათესებისა, ბაღებისა და სხვ. წახდენისა და გაფუჭების საწინაღმდეგო ღონისძიებათა მიღებისათვის;

ვ) გამვლელი ჯარების დაბინავებისათვის.

2. სათემო საბჭოს ყველა სავალდებულო დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და სათემო საბჭოს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიან იგი გამოაქვეყნოს.

3. უკეთუ საჭირო იქნება სავალდებულო დადგენილების გამოცემა ისეთი საგნის გამო, რაც ამა დებულების 1 მუხლში არ არის გათვალისწინებული, სათემო საბჭო აღძრავს შუამდგომლობას მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა მან გამოსცეს სათანადო სავალდებულო დადგენილება.

4. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოიცეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა.

5. სათემო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწესდება შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

тельных постановлений и наложения административных взысканий за их нарушение.

## ПОЛОЖЕНИЕ

**О порядке издания Темскими Советами обязательных постановлений и наложения административных взысканий за их нарушение.**

1. Темским Советам предоставляется право издавать обязательные постановления по следующим предметам:

а) принятия санитарных мер (в первую очередь по борьбе с загрязнением питьевой воды);

б) организации и проведения мер общественной борьбы со стихийными бедствиями;

в) принятия противопожарных мер;

г) борьбы с эпидемиями, эпизоотиями и вредителями растений;

д) потравы и порчи посевов, садов и проч.;

е) расквартирования проходящих войск.

2. Обязательные постановления, издаваемые Темскими Советами, должны быть утверждены подлежащим Уездным Исполнительным Комитетом и могут быть опубликованы Темскими Советами только после такового утверждения.

3. При необходимости издания обязательных постановлений по предметам, не предусмотренным в ст. 1 настоящего постановления, Темский Совет возбуждает ходатайство перед Уездным Исполнительным Комитетом об издании последним соответствующего обязательного постановления.

4. Обязательные постановления могут быть издаваемы на срок не свыше 1 года.

5. За нарушение обязательных постановлений Темских Советов устанавливаются следующие административные взыскания:

а) денежный штраф не более 5 руб.;

б) принудительные работы до 5 дней.

Взыскание, которое может быть наложено на виновного, должно быть

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 5 მანეთისა;

ბ) იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ადმინისტრატიული გადასახდელი, რაც შეიძლება დამნაშავეს დაედოს, უნდა აღინიშნოს სავალდებულო დადგენილებაში.

**შენიშვნა** 1. იძულებითი მუშაობა შესრულებულ უნდა იქნეს იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელსაც ეს მუშაობა გადაეწყვიტა; უკეთუ საჭიროა, იძულებითი მუშაობა შეიძლება დაინიშნოს სხვა ადგილზედაც, ხოლო არა უშორეს 10 ვერსისა სამუშაოს შემსრულებელი პირის საცხოვრებელი ადგილიდან.

**შენიშვნა** 2. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, ადგილობრივი პირობების მიხედვით, განსაზღვრავს იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც იძულებითი მუშაობის წარმოება არ შეიძლება სოფლად და იგი სხვა დროისთვის უნდა იქნეს გადატანილი.

6. სავალდებულო დადგენილება ხელმოწერილი უნდა იყოს თემის საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ და ამასთანავე, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით. დადგენილებაზე აღინიშნება, რომ იგი დამტკიცებულია მაზრის აღმასკომის მიერ.

სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის, რისთვისაც იგი დაეგზავნება სოფლებს, სადაც თვალსაჩინო ადგილას უნდა გაიკრას.

7. სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის არა უადრეს ერთი კვირისა მისი გამოქვეყნების დღიდან, ხოლო ის სავალდებულო დადგენილება, რომელიც სტიქიური უბედურებისა, ეპიდემიისა და ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლას, ან და გამვლელი ჯარის დაბინავებას ეხება, ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

**შენიშვნა**. სავალდებულო დადგენილების ძალაში შესვლის დღე თვით ამ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს.

8. მეთვალყურეობა სავალდებულო დადგენილებათა აღსრულებისათვის დაეკისრება სათემო აღმასრულებელ კომი-

указано в обязательном постановлении.

*Примечание 1.* Принудительные работы отбываются по месту жительства лица, на которое они наложены. В случае необходимости, они могут назначаться и в других местах, отстоящих во всяком случае не более как на 10 верст от места жительства лица, выполняющего работу.

*Примечание 2.* Уездные Исполнительные Комитеты, в соответствии с местными условиями, устанавливают период времени, в который принудительные работы в сельских местностях не могут применяться и должны быть перенесены на другое время.

6. Обязательные постановления должны быть подписаны председателем и секретарем Темского Совета, при чем на постановлениях за подписью председателя Уездного Исполнительного Комитета должно быть означено, что они утверждены Уездным Исполнительным Комитетом.

Обязательные постановления должны быть опубликованы во всеобщее сведение путем рассылки их по селениям для расклейки на видном месте.

7. Обязательные постановления вступают в силу не ранее, чем через неделю после их опубликования, за исключением обязательных постановлений, касающихся стихийных бедствий, эпидемий и эпизоотий или расквартирования проходящих войск, каковые обязательные постановления входят в силу со дня их опубликования.

*Примечание.* В обязательных постановлениях должно быть указываемо с какого дня они вступают в силу.

8. Наблюдения за исполнением обязательных постановлений возлагаются на Темский Исполнительный Комитет, на членов Темского Совета и на Милицию.

В случае нарушения обязательных постановлений, член Темского Испол-

ტეტს, სათემო საბჭოს წევრებსა და მილიციას.

უკეთუ სავალდებულო დადგენილება დარღვეული იქნა, სათემო აღმასკომის წევრმა ან მილიციის თანამშრომელმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი, სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და, თუ არიან, მოწმენიც.

**შენიშვნა.** უკეთუ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელისმოწერაზე, ეს გარემოება შეიტანება ოქმში და თანაც აღინიშნება უარის მოტივი. ოქმის ხელის მოწერაზე უარის თქმა ვერ შეაჩერებს ოქმის შემდგომ წარმართვას.

9. ოქმი სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ წარედგინება სათემო აღმასრულებელ კომიტეტს. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ოქმს თავის სხდომაზე და, თუ დაინახავს, რომ სავალდებულო დადგენილების დარღვევა არ მომხდარა, ან ის პირი, ვიზედაც ოქმია შედგენილი, სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავე არ არის, დაადგენს საქმე მოისპოს, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიტანს დადგენილებას დამნაშავისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

10. ადმინისტრატიული გადასახდელის დადებისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) ადმინისტრატიული გადასახდელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს მხოლოდ 3 თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების დარღვევისა;

ბ) დარღვევა, რომელიც დამრღვევს ბრალად ედება, ნამდვილად უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაშია გათვალისწინებული;

გ) დადგენილებაში, რომლითაც ადმინისტრატიული გადასახდელია გადაწყვეტილი, გარკვევით და სისწორით უნდა აღინიშნოს დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩადენილი დარღვევა და გადასახდელი ღონისძიება.

11. დადგენილება, რომლითაც ადმინისტრატიული გადასახდელია გადაწყვეტილი, წერილობითი უნდა იყოს და

нительного Комитета или сотрудник милиции составляет протокол, который подписывается составителем, нарушителем и свидетелями, если таковые будут.

*Примечание.* При отказе нарушителя подписать протокол, об этом заносится в протокол с указанием мотивов отказа; отказ в подписании протокола не останавливает его направления.

9. Протокол о нарушении обязательного постановления представляется Темскому Исполнительному Комитету. Темский Исполнительный Комитет рассматривает протокол на своем заседании, при чем, если найдет, что нарушение обязательного постановления не имело места, или лицо, о коем составлен протокол, не виновно в нарушении обязательного постановления, постановляет о прекращении дела, в противном случае выносит постановление о наложении на виновного взыскания в административном порядке.

10. При наложении взысканий в административном порядке должно быть соблюдено следующее:

а) взыскание может быть наложено только в течение 3 месяцев со дня нарушения обязательного постановления;

б) нарушение, в котором обвиняется нарушитель, должно в точности соответствовать деянию, которое предусмотрено обязательным постановлением;

в) в постановлении о наложении взыскания точно должны быть указаны личность нарушителя, совершенное им нарушение и мера взыскания.

11. Постановление о наложении взыскания должно быть изложено в письменной форме и об'явлено лицу, над которым приводится в исполнение.

12. Лицо, на которое наложено административное взыскание, вправе просить Темский Исполнительный Комитет о пересмотре вынесенного в отношении его постановления, а также обжаловать его в соответствующий Уездный Исполнительный Ко-

გამოეცხადოს იმ პირს, ვისაც გადასახდელი გადაეწყვიტა.

12. იმ პირს, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, უფლება აქვს სთხოვოს სათემო აღმასრულებელ კომიტეტს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება გადასინჯოს, ან და განასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში, შვიდი დღის ვადაზე დღიდან მისი გამოცხადებისა. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს თემის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს იგი საქმითურთ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. აღნიშნული თხოვნისა და საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

13. აშკარად უკანონო გადასახდელის გადაწყვეტა ადმინისტრატიული წესით გამოიწვევს არა მარტო დადგენილების გაუქმებას, არამედ იმ თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემას, სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლისამებრ, რომელმაც დადგენილება გამოიტანა.

14. თემის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს ადმინისტრატიული გადასახდელი დაადოს დამნაშავეს, ამა დადგენილების მე-5-ე მუხ. აღნიშნულ ფარგლებში, აგრეთვე ყველა იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რაც გამოცემულ იქნება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოების მიერ, უკეთუ თვით ამ სავალდებულო დადგენილებებით თემის საბჭოს ეს უფლება მინიჭებული ექნება.

15. წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სათემო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დაიცვას ყველა ის პირობა ადმინისტრატიული გადასახდელის გადაწყვეტისათვის, რაც ამა დებულებაშია აღნიშნული, გარდა იმ ვადისა, რომლის განმავლობაშიაც შეიძლება დამნაშავისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის გადაწყვეტა და რომელი ვადაც ამ შემთხვევაში განსაზღვრულ უნდა იქნეს საერთო დებულებით მაზრის აღმასრულებელი კომიტეტების სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესის შესახებ.

16. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, დაევალება გამოს-

митет, в течение 7 дней со дня объявления. Жалоба должна быть подана в Темский Исполнительный комитет, который в течение трех дней обязан переслать ее вместе с делом в Уездный Исполнительный Комитет. Подача жалоб и просьбы не приостанавливает исполнения.

13. Явно незаконное наложение взыскания в административном порядке влечет за собой не только отмену постановления, но и ответственность по 109 ст. Уголовного Кодекса того должностного лица, коим постановление вынесено.

14. Темские Исполнительные Комитеты имеют право налагать административные взыскания на виновных, в пределах 5 ст. сего постановления, также и за нарушение обязательных постановлений, издаваемых Уездным Исполнительным Комитетом или Центральными органами, в том случае, если в этих обязательных постановлениях такое право предоставлено Темским Исполнительным Комитетам.

15. В случаях, означенных в предыдущей статье, Темские Исполнительные Комитеты должны соблюдать все те условия для наложения административных взысканий, какие установлены настоящим Положением, за исключением срока, в течение которого могут быть наложены административные взыскания, который в этом случае исчисляется согласно общему положению о порядке издания обязательных постановлений Уездных Исполнительных Комитетов.

16. Народному Комиссариату Внутренних Дел, совместно с Народным Комиссариатом Юстиции, поручается издать в месячный срок инструкцию по применению настоящего Положения.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს ერთი თვის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დებულების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

---

## 72. დადგენილება № 44

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ.**

სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების დებულების 51 მუხ. „ჟ“ პუნქტის განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

1. უკეთუ ქალაქში ან სოფელში, სადაც მოთავსებულია სათემო აღმასრულებელი კომიტეტი, არ იმყოფება სანოტარო კანტორა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტი შეამოწმებს გარიგებას, ხელშეკრულებას და დოკუმენტს ქვემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე.

**შენიშვნა.** უკეთუ ამა მუხლში აღნიშნულ ადგილას იმყოფება სახალხო მოსამართლე, დოკუმენტების შემოწმება შეუძლიან, როგორც სათემო აღმასრულებელ კომიტეტს ამა დადგენილების საფუძველზე, ისე სახალხო მოსამართლეს, სათანადო კანონმდებლობათა საფუძველზე.

2. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია შეამოწმოს:

ა) ხელმოწერა წერა-კითხვის უცოდინარის ნაცვლად ყოველგვარ ვალდებულებაზე ან სხვა დოკუმენტზე;

ბ) საფოსტო კორესპოდენციის

## 72. Постановление № 44

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О засвидетельствовании Темскими Исполнительными Комитетами сделок, договоров и документов.**

В развитие п. „р“ ст. 51 Положения о темских советах, темских исполнительных комитетах и общих собраниях граждан—Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Если в городах и селениях, где находятся темские исполнительные комитеты, не имеется нотариальных контор, темские исполнительные комитеты производят засвидетельствование сделок, договоров и документов на основании нижеследующих статей.

*Примечание.* Если в местах, указанных в этой статье, имеется народный Судья, то засвидетельствование документов может производиться как темским исполнительным комитетом на основании настоящего постановления, так и Народным Судьей на основании соответствующих указаний.

2. Темский Исполнительный Комитет обязан свидетельствовать:

а) подписи за неграмотных на обязательствах всякого рода и других документах;

б) личность получателей почтовой корреспонденции и подписи на заяв-

შიმღების ვინაობა და ხელმოწერა განცხადებაზე, უწყებაზე და სხვა დოკუმენტზე;

გ) დოკუმენტის ასლი;

დ) ყოველგვარი გარიგება ცალკე მოქალაქეთა შორის, სრული ამხანაგობისა და ნდობის ამხანაგობის ხელშეკრულების გამოკლებით;

ე) ხელშეკრულება, რომელსაც დასდებს 1-ლი საფეხურის კოოპერატივი (წარმოებითი, სამომხმარებლო, საკრედიტო და სხვა) საადგილ-მამულო საზოგადოება და გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტი, როგორც ერთმანეთშორის, ისე კერძო მოქალაქესთან, აგრეთვე ხელშეკრულება სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებისათვის სოფლის მეურნის მიერ თავისი მეურნეობის პროდუქტის ყიდვა-მიწოდების შესახებ.

3. შემოწმება მოხდება სათანადო წარწერით შესამოწმებელ დოკუმენტზე და ბეჭდის დასმით.

4. ყოველგვარი შემოწმების შესრულების დროს სათემო აღმასრულებელი კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელი გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს და, უკეთუ კანონის საწინააღმდეგო რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთქვას შემოწმებაზე.

5. სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის უახლოებლესი ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტორობის გაწევა გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების საქმეში ეკუთვნის სათანადო ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებას.

6. გამოსაღები შემოწმებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ ნიხრის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებენ იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები. შემოსული გამოსაღები ჩაირცხება სათემო ბიუჯეტის შემოსავალში.

**შენიშვნა.** სოფლის მცხოვრებთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება საფოსტო უწყებაზე და შემოწმება რწმუნებულობის, რასაც სოფლის მცხოვრებნი გასცემენ საამანათო და ფულადი კორესპოდენციის მისაღებად, მოხდება გამოსაღების გადაუხდევინებლად.

7. იუსტიციის სახალხო კომისარიატს

лениях, повестках и других документах;

в) копии документов;

г) всякого рода сделки между отдельными гражданами, за исключением договоров товариществ полных и на вере;

д) договоры, заключаемые кооперативами 1-й степени (производственными, потребительскими, кредитными и т. п.), земельными обществами и крестьянскими комитетами взаимопомощи как между собой, так и с отдельными гражданами, а также договоры о поставке государственным предприятиям и учреждениям сельскими хозяевами продуктов своего хозяйства.

3) Засвидетельствование совершается путем соответствующей надписи на свидетельствуемом документе и приложения печати.

4. При производстве всякого рода засвидетельствования темский исполнительный комитет удостоверяется в соответствии свидетельствуемых сделок и документов действующим узаконениям и, в случае обнаружения какого либо противоречия последним, отказываются от засвидетельствования. В рассмотрение целесообразности представляемых к засвидельствованию сделок и документов, выгодности или убыточности сделки для сторон темские исполнительные комитеты не входят.

5. Ближайшее руководство и инструктирование деятельности темских исполнительных комитетов в части, касающейся засвидетельствования сделок, договоров и документов, принадлежит нотариальному отделению подлежащего Областного Суда.

6. Сборы за засвидетельствование взыскиваются по особой таксе, вырабатываемой Народными Комиссариатами Юстиции и Финансов, и поступают в доход темского бюджета.

*Примечание.* Засвидетельствование на почтовых повестках подлинности подписей граждан, проживающих в селениях, и засвидетельствование доверенностей, выдаваемых сельскими жителями на получение денежной

დაევალება გამოსცეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულებანი.

## 73. დებულება

### აბაშის ჰიდრო- ელექტრო სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის შესახებ.

1. სოფ. სკურდის რაიონში მდინარე აბაშაზე აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაშენებლად არსდება კომიტეტი—აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი— შემოკლებით „აბჰესკომი“, რომელიც მოქმედებს ამა დებულების თანახმად.

2. კომიტეტი განაგებს აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგების საქმეს და პასუხიმგებელია ამ საქმის სისწორით და წესიერად წარმოებისათვის.

3. თავის საქმეს კომეტეტი განახორციელებს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით, რომლის სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი.

4. სამმართველო განაგებს სადგურის აგების საქმის ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ, საანგარიშო-საფინანსო და მატერიალურ ნაწილს.

5. კომიტეტი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია და უფლება აქვს შეიძინოს „აბჰესისათვის“ საჭირო ქონება, დასდოს და იკისროს ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხის აგოს სასამართლოში იმ საერთო საფუძველზე, რაც დადგენილია სახელმწიფო ორანოებისათვის.

6. კომიტეტს დაეკისრება:

и посылочной корреспонденции производится без взимания сбора.

7. Народному Комиссариату Юстиции, по соглашению с Народным Комиссариатом Внутренних Дел, поручается издание инструкции по применению настоящего постановления.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

---

## Положения Центрального Исполнительного Комитета.

## 73. Положение

### О Комитете по сооружению Абашской гидро-электрической станции.

1. Для сооружения Абашской гидро-электрической станции, на р. Абаша, в районе сел. Скурди, учреждается Комитет по сооружению Абашской гидро-электрической станции, сокращенно именуемый „Абгэском“, действующий согласно настоящего Положения.

2. Комитет ведает сооружением Абашской гидро-электрической станции и ответствует за правильность ее сооружения.

3. Свою работу Комитет осуществляет через Управление работ, во главе которого стоит Начальник работ.

4. Управление работ ведает административной, технической, счетно-финансовой и материальной частями по сооружению станции.

5. Комитет, являясь самостоятельной хозяйственной единицей, в праве приобретать имущества, необходимые для целей Абгэза, вступать в обязательства, искать и отвечать на суде на общих основаниях, установленных для госорганов.

6. На Комитет возлагается:

ა) აავოს აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგური ამასთანავე დართული ხარჯთ-აღრიცხვისა და პროექტის თანახმად და აგრეთვე შეადგინოს ხოლმე დამატებითი საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვები ამავე სადგურისათვის;

ბ) მოაწყოს და განაგოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით ყოველგვარი ხელის შემწყო საწარმო ტეხნიკურ-სამეურნეო ხასიათისა;

გ) დაამზადოს და შეიძინოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით ელექტრო-სადგურისათვის საჭირო მასალები, იარაღები, სათბობი მასალა და სხვ;

დ) შეადგინოს სადგურის ფინანსიურად მოგვარების საერთო გეგმები და იზრუნოს სამუშაოთა სამმართველოსათვის ფინანსიურ სახსარის მიწოდებისათვის დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის ფარგალში;

ე) დასდოს მუშა-მოსამსახურეებთან კოლექტიური ხელშეკრულებანი;

ვ) შეადგინოს ანგარიშები და ბალანსები და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

7. „აბჰესკომი“-ს ამა დებულების მე-5 მუხლით დაკისრებული მიზნის განსახორციელებლად, მას უფლება აქვს:

ა) მიიღოს, გადასცეს სამმართველოს და დახარჯოს სახარჯთაღრიცხვო თანხები;

ბ) კრედიტი გაიხსნას საკრედიტო და სხვ. დაწესებულებებში;

გ) აწარმოოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით სადგურის ასაგებად საჭირო მასალებისა და სხვ. დამზადება და დამუშავება;

დ) მოაწყოს და იჯარით აიღოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით ყოველგვარი ხელისშემწყო საწარმო, რაც სადგურის აგების საქმეს გამოადგება;

ე) რეალიზაცია გაუკეთოს მუშაობის წარმოებისათვის გამოუსადეგ და არასაჭირო ქონებას, რაც კომიტეტს ეკუთვნის;

ვ) დააზღვიოს სადგურის აგებისათვის გამოსაყენებელი ქონება;

ზ) დანიშნოს და დაითხოვოს კომიტეტის მოსამსახურენი;

თ) განსაზღვროს სამუშაო ხელფასისა, დახმარებისა, საჩუქრისა და სხვ. რაოდენობა, კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების გასამრჯელოს გამოკლებით, რომელთა გასამრჯელოსაც სა-

а) сооружение Абашской гидро-электрической станции согласно прилагаемым к настоящему Положению сметам и проектам, а также составление дополнительных строительных смет на сооружение указанной станции;

б) организация и заведывание через Управление работ всякого рода подсобными предприятиями технически-хозяйственного характера;

в) заготовка и приобретение через Управление работ необходимых для нужд электрической станции материалов, инструментов, топлива и пр.;

г) составление общих планов финансирования работ и попечение о снабжении Управления работ финансовыми средствами в пределах утвержденной сметы;

д) заключение коллективных договоров со служащими и рабочими;

е) составление отчетов и балансов и представление их на утверждение ЭКОСО ССР Грузии.

7. В целях осуществления возложенных на Абгэском ст. 5 сего Положения обязанностей, Абгэскому предоставляется:

а) получать, передавать Управлению работ и расходовать сметные суммы;

б) кредитоваться в кредитных и др. учреждениях;

в) производить через Управление работ разработку и заготовку для нужд сооружения станции материалов и др.;

г) организовать и арендовать через Управление работ всякого рода подсобные предприятия, имеющие целью обслуживание нужд сооружения,

д) реализовать негодное или ненужное для производства работ имущество, принадлежащее Комитету;

е) страховать имущество, относящееся к сооружению станции;

ж) назначать и увольнять служащих Комитета;

з) определять размер зарплаты, пособий, наградных и пр., за исключением содержания Председателя и членов Комитета, содержание коих определяется ЭКОСО ССР Грузии.

8. Все имущество, приобретенное

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო განსაზღვრავს.

8. მთლად ის ქონება, რაც აბაშის ჰიდრო- ელექტრო-სადგურის აშენებისათვის შეიძინება და „აბჰესკომ“-ს ეკუთვნის, სამუშაოთა სამმართველოს გამგებლობაშია.

9. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) ის თანხები, რასაც კომიტეტს მისცემენ ფოთისა და სენაკის აღმასრულებელი კომიტეტები;

ბ) სხვა თანხები, რასაც კომიტეტი მიიღებს სესხად და სხვაგვარი საშუალებით.

10. კომიტეტის თავმჯდომარეს დანიშნავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო, ხოლო კომიტეტის წევრებს დანიშნავენ დამოუკიდებლად აღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტები თვითეული ორ-ორს. თავმჯდომარის მოადგილეს აარჩევს კომიტეტი კომიტეტისავე წევრებთა შორის.

11. აბაშის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის საალმშენებლო სამუშაოთა უფროსს და მის თანაშემწეს დანიშნავს კომიტეტი.

12. სამუშაოთა უფროსს დაეკისრება დანიშნოს და დაითხოვოს სამუშაოთა სამმართველოს მოსამსახურენი, უშუალო საპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობის წარმოების საქმეს, განაგოს სამუშაოთა სამმართველო და თვალყური ადევნოს კომიტეტის განკარგულებათა და საერთო ტეხნიკური ნორმებისა და, საერთოდ, მთავრობის ყველა განკარგულების აღსრულებას.

> **შენიშვნა.** აბაშის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის საალმშენებლო სამუშაოთა უფროსის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მოწესრიგდება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც „აბჰესკომ“-ი დაამტკიცებს.

13. კომიტეტის განსახილველი საქმეები და საკითხები კომიტეტის სხდომაზე განიხილება. კომიტეტის სხდომას დანიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე საჭიროებისდამიხედვით, ხოლო თვეში ერთზე არა ნაკლებ. კომიტეტის სხდომა შესდგება, უკეთუ მთლად კომიტეტის შედგენილობის ნახევარი მაინც დაესწრო, მათ შორის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

14. კომიტეტის წევრნი ასრულებენ

для постройки Абашской гидроэлектрической станции и принадлежащее Абгэскому, находится в заведывании Управления работ.

9. Средства Комитета составляются из:

а) сумм, предоставляемых Комитету Потийским и Сенакским Исполкомами;

б) прочих, получаемых Комитетом путем займов, ссуд и т. п. сумм.

10. Председатель Комитета назначается ЭКОСО ССР Грузии, а члены Комитета назначаются указанными Исполкомами самостоятельно в количестве двух лиц от каждого Исполкома. Зампредседателя избирается Комитетом из числа членов Комитета.

11. Начальник работ по сооружению Абашской гидро-электрической станции и его помощник назначаются Комитетом.

12. На Начальника работ возлагается назначение служащих Управления работ и непосредственное ответственное руководство производством работ, заведывание управлением работ и наблюдение за исполнением распоряжений Комитета и общих технических норм, а также всех вообще правительственных распоряжений.

> *Примечание.* Права, обязанности и ответственность Начальника работ по сооружению Абашской гидро-электрической станции регулируются особой инструкцией, утвержденной Абгэскомом.

13. Подлежащие разрешению Комитета дела и вопросы рассматриваются в заседании Комитета. Заседания Комитета назначаются его Председателем или его Заместителем по мере надобности, но не реже одного раза в месяц, и считаются состоявшимися при наличии не менее половины всего состава Комитета, в том числе Председателя или его заместителя.

14. Члены Комитета несут определенные обязанности, согласно устанавливаемого Комитетом распределения.

15. Решения Комитета постановля-

განსაზღვრულ მოვალეობას კომიტეტის მიერ დადგენილი განაწილების მიხედვით.

15. კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმის უმეტესობით. უკეთუ ხმები შუა გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. უკეთუ სამუშაოთა უფროსი თანახმა არ იქნება კომიტეტის ისეთი გადაწყვეტილებისა, რაც უშუალოდ მუშაობის წარმოებას ან მუშაობის მიზანშეწონილობასა და უშიშროებას შეეხება, მას უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი აზრი საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში.

კომიტეტის სხდომიდან სხდომამდე გადაწყვეტილებას კომიტეტის ქვემდებარე საკითხების გამო მიიღებს პირადათ თავჯდომარე ან მისი მოადგილე, რასაც შემდგომ კომიტეტს მოახსენებს.

16. კომიტეტის დადგენილება აღსრულებაში მოიყვანება თავმჯდომარის განკარგულებით; უკეთუ, ამასთანავე, იგი თანახმად არ არის უმეტესობის აზრისა, მას უფლება აქვს შეაჩეროს კომიტეტის დადგენილების აღსრულება და სამი დღის განმავლობაში საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს წარუდგინოს. სასწრაფო (გადაუდებელ) შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე არ დაუცდის საკითხის საბოლოო გადაწყვეტას და მოიქცევა თავისი შეხედულებისამებრ, რასაც ამავე დროს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს აცნობებს.

17. კომიტეტში ირიცხებიან მდივანი და საფინანსო განყოფილების გამგე, რომელთაც მოსამსახურეთა სათანადო შტატი ჰყავთ კომიტეტისავე განსაზღვრით.

18. კომიტეტის მოქმედებას კონტროლს გაუწევენ ფოთისა და სენაკის აღმასრულებელი კომიტეტები.

19. თავისი მოქმედებისათვის კომიტეტი იხელმძღვანელებს ამა დებულებას და საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ გამოცემულ ინსტრუქციებს, წესებს და განკარგულებას.

20. კომიტეტს აქვს ბეჭედი შემდეგი წარწერით: „აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საამშენებლო კომიტეტი“.

ются большинством голосов присутствующих. В случае равенства голосов, голос председательствующего дает перевес. В случае несогласия Начальника работ с постановлением Комитета, касающимся непосредственно производства работ, их целесообразности и безопасности, последнему предоставляется право в трехдневный срок представить свое о том мнение в ЭКОСО ССР Грузии.

В промежуток между заседаниями Комитета решения по вопросам, подведомственным Комитету, принимаются лично Председателем Комитета или его заместителем с последующим о том докладом Комитету.

16. Постановления Комитета приводятся в исполнение распоряжением Председателя, причем в случае несогласия последнего с мнением большинства, ему предоставляется право задержать исполнение постановления Комитета и представить вопрос в трехдневный срок на окончательное разрешение в ЭКОСО ССР Грузии. В неотложных случаях Председатель Комитета, не ожидая окончательного разрешения вопроса, поступает по собственному усмотрению за своей единоличной ответственностью, доводя о том одновременно до сведения ЭКОСО ССР Грузии.

17. При Комитете состоит Секретарь и заведующий финансовым отделом, имеющие необходимый штат служащих по определению Комитета.

18. Деятельность Комитета контролируется Потийским и Сенакским Исполкомами.

19. В своей деятельности Комитет руководствуется настоящим Положением и издаваемыми ЭКОСО ССР Грузии инструкциями, правилами и распоряжениями.

20. Комитет имеет печать с надписью: „Комитет по сооружению Абашской гидро-электрической станции“.

21. Председатель и члены Комитета несут административную и судеб-

21. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები პასუხისმგებელნი არიან ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, რაც თანამდებობის პირთათვის არის დადგენილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

ную ответственность на основаниях, установленных для должностных лиц.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. июня 22.
Тифлис—Дворец.

---

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

## 74. დადგენილება

### საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს ს. ს. რ. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობის დებულებეს მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1923 წ. იანვრის 12 დამტკიცებული საქართველოს ს. ს. რ. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობის დებულების მე-4 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

4. საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და სამაზრო კომიტეტების გამოცემანი და საერთოდ, პარტიული კომუნისტური ლიტერატურა, აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. სახალმწიფო გამომცემლობისა და პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის გამოცემანი განთავისუფლებულია ცენზურისაგან; ამასთანავე ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მმარ-

## Постановления Совета Народных Комиссаров.

## 74. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### Об изменении ст. 4 Положения о Главном Управлении по делам литературы и издательства (Главлит) Соц. Сов. Респ. Грузии.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Ст. 4-ю Положения о Главном Управлении по делам литературы и издательства (Главлит) ССР Грузии, утвержденного 12-го января 1923 г., изменить, изложив в следующей редакции:

„4. Издания Закрайкома ВКП, Центрального и уездных Комитетов КПГ и вся, вообще, партийная коммунистическая печать, а равно издания Госиздата и Главполитпросвета ССРГ освобождаются от цензуры; в отношении этих изданий на Главное Управление по делам литературы и издательства и его органы возлагается

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობას და მის ორგანოებს დაეკისრებათ მიიღონ ღონისძიება, რათა ზემოხსენებულ გამოცემათა მიმართ უზრუნველყოფილ იქნეს სამხედრო ცენზურის ინტერესები.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. მაისის 5.
ტფილისი-სასახლე

принятие мер к полному обеспечению интересов военной цензуры".

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. мая 5.
Тифлис—Дворец.

---

## 75. დადგენილება

### საქართველოს ს. ს. სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების შრომის სასყიდლის გაღების არსებული წესის ნაცვლად შემოღებულ იქნეს მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს:

ა) თანამდებობათა ნომენკლატურის დაწესება და თანამდებობათა დახასიათება. ამასთანავე ყველა ის თანამდებობანი, რაც სამუშაოს ხასიათისა და ოდენობის მიხედვით თანაბარნი იქნებიან, ერთი სახელწოდებით აღინიშნებიან;

ბ) მტკიცე შტატები, წინა პუნქტში გათვალისწინებულ ნომენკლატურის შეფარდებით;

გ) ჯამაგირის მტკიცე რაოდენობა თვითეული საშტატო თანამდებობისათვის.

2. საქართველოს ს. ს. რ სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობათა ნომენკლატურა და დახასიათება დადგენილ იქნება ს. ს. რ. კ-ის კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

3. შტატებს დააწესებს და შესცვლის საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხ-

## 75. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### О нормировании заработной платы служащих государственных учреждений ССР Грузии.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Во изменение существующего порядка оплаты труда служащих государственных учреждений, ввести систему государственного нормирования заработной платы служащих, положив в основу ее:

а) установление номенклатуры и характеристики должностей, с единым наименованием всех должностей, однородных по характеру и об'ему выполняемой работы;

б) твердые штаты, с применением номенклатуры, предусмотренной предыдущим пунктом, и

в) твердый оклад для каждой штатной должности.

2. Номенклатуру и характеристику должностей в государственных учреждениях ССР Грузии установить в порядке, определенном действующим законодательством Союза ССР.

3. Установление штатов государственных учреждений ССР Грузии, а равно внесение в них изменений возложить на НК РКИ ССР Грузии совместно с НКТруда ССР Грузии.

თა ინსპექციის სახალხო კომისარიატი საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით.

**შენიშვნა** 1. ამა მუხლის მიხედვით დაწესებული შტატები დასამტკიცებლად საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინება.

**შენიშვნა** 2. მოკავშირე აფხაზეთის ს. ს რ., აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შტატებს დააწესებენ და შესცვლიან სათანადო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები ხსენებული რესპუბლიკების და ოლქის შრომის სახ. კომისარიატების მონაწილეობით და, სათანანადო სახალხო კომისარიატების მიერ დადასტურების შემდეგ, შტატები დასამტკიცებლად საქართველოს ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს წარედგინება.

4. ჯამაგირის განაკვეთებს თვითეული საშტატო თანამდებობისათვის, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებაში შეიმუშავებს შრომის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახკომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატისა, დაინტერესებული უწყებისა და სათანადო პროფკავშირის მონაწილეობით; ჯამაგირების განაკვეთების შემუშავება სწარმოებს ა|კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა, ა|კ. ს. ფ. ს. რ. ფინსახკომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული სანიმუშო სქემის საფუძველზე. შემუშავებულ ჯამაგირის განაკვეთებს დაამტკიცებს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო.

**შენიშვნა.** მოკავშირე აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის დაწესებულებების თანამდებობისათვის ჯამაგირის განაკვეთების შემუშავების დროს საქართველოს შრომის სახ. კომ. მიერ მოწვეულ უნდა იქნეს სათანადო ს. ს. რ-ის ან ავტონომიურ ოლქის შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი. აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ავტონომიური რესპ. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის დაწე-

*Примечание 1.* Установленные НКРКИ совместно с НКТруда штаты подлежат утверждению Совнаркомом ССР Грузии.

*Примечание 2.* Установление и изменение штатов государственных учреждений Договорной ССР Абхазии, Автономной ССР Аджаристана и Автономной Области Юго-Осетии производятся НК РКИ соотв. респ. и обл. совместно с соответствующим НКТ, причем установленные штаты, по утверждении их соответствующими Совнаркомами, передаются для окончательного утверждения Совнаркому ССР Грузии.

4. Разработку окладов для каждой штатной должности учреждений, находящихся как на государственном, так и на местном бюджете, возложить на НКТруда совместно с НКФ, НК РКИ, заинтересованным ведомством и соответствующим Профсоюзом, причем разработку окладов производить на основе примерной схемы, разработанной НКТруда ЗСФСР по соглашению с НКФ и НК РКИ ЗСФСР, с последующим представлением их на утверждение Совнаркома ССР Ррузии.

*Примечание.* При разработке окладов для штатных должностей государственных учреждений Договорной ССР Абхазии, Автономной ССР Аджаристана и Автономной Области Юго-Осетии, Народным Комиссариатом Труда ССР Грузии приглашается председатель НКТруда соответствующей Республики или Автономной Области. Разработанные для должностей учреждений ССР Абхазии, АССР Аджаристана и АО Юго-Осетии оклады передаются через соответствующие НКТруда Совнаркомам Рерспублик и Области на утверждение и, по утверждении последними, представляются Совнаркому ССР Грузии на окончательное утверждение.

5. Кредиты на заработную плату определить применительно к установ

სებულებების თანამდებობათათვის შემუშავებული ჯამაგირის განაკვეთები, სათანადო შრომის სახკომის მეშვეობით, გადაეცემა ხსენებულ რესპუბლიკებისა და ოლქ ს სახკომსაბჭოებს დასამტკიცებლად და, უკანასკნელთა მიერ დამტკიცების შემდეგ, წარედგინება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

5. სამუშაო ხელფასის კრედიტები განისაზღვრება დაწესებული შტატებისა და დამტკიცებული ჯამაგირების მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს კიდევ შემდეგი თანხები:

ა) ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოსათვის იქ, სადაც ასეთი მუშაობა ნებადართულია სპეციალური კანონით, ან ისეთ შემთხვევაში, რაც აღნიშნულია კანონში— შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების დადგენილებისამებრ;

ბ) თანამდებობის ჯამაგირის ზედნართის მისაცემად უმაღლესი კვალიფიკაციის პირებისათვის, რომელთაც ზედნართი პერსონალურად მიკუთვნებული და დამტკიცებული აქვთ განსაკუთრებული წესისამებრ;

გ) გასასვლელი დახმარებისა, გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და დროებით სხვაგან მყოფ (შვებულებაში ან წარვლინებაში) მოსამსახურეთა მენაცვლე პირებისათვის გასამრჯელოს მისაცემად;

დ) დროებითი მოსამსახურეებისათვის გასამრჯელოს მისაცემად იქ, სადაც ეს საჭირო იქნება საოპერაციო წლის განმავლობაში დაწესებულების სამუშაოს ხასიათის გამო; ამ მიზნისათვის კრედიტების გამოანგარიშება მოხდება განსაკუთრებული წესისამებრ, რასაც საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი გამოსცემს ფინსახკომ. და მ. გ. ინსპექციის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით; ამ კატეგორიის მოსამსახურეთა გასამრჯელოს რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს იმავე დაწესებულების სათანადო საშტატო თანამდებობის ჯამაგირს.

6. ამ დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად გაცემული, მაგრამ სახარჯთაღრიცხვო წლის განმავლობაში თავის პირდაპირი დანიშნულებისათვის არ გამოყენებული კრედიტი არ შეიძლება დახარჯულ იქნეს სხვა საჭიროებისათვის,

ленным штатам и утвержденным окладам с добавлением сумм:

а) на оплату сверхурочных работ там, где таковые разрешены специальным законом, или в случаях, предусмотренных постановлениями органов НКТруда:

б) на выплату надбавки сверх должностного оклада лицам высокой квалификации, коим надбавка присвоена персонально и закреплена в особом порядке;

в) на выплату выходного пособия, компенсации за неиспользованный отпуск и на оплату заместителей временно отсутствующих служащих (по состоянию в отпуску, в командировке и т. д.) и

г) на оплату временных служащих там, где по характеру работы учреждения встретится в течение операционного года необходимость в этом, причем исчисление кредитов для этой цели определить особыми правилами, издаваемыми НКТруда ССР Грузии по соглашению с НКФ и НК РКИ. Размеры вознаграждения этой категории служащих не могут превышать окладов соответствующих штатных должностей в том же учреждении.

6. Отпущенные, согласно ст. 5 настоящего положения, но неиспользованные в течение сметного года по своему прямому назначению кредиты не могут быть израсходованы на другие нужды и подлежат зачислению в доход казны.

7. Устанавливаемая настоящим постановлением система нормирования заработной платы должна быть осуществлена во всех состоящих на государственном бюджете учреждениях ССР Грузии начиная с 1926/27 года.

*Примечание.* Срок осуществления системы нормирования заработной платы в учреждениях, состоящих на местном бюджете, будет установлен особо.

8. Переход к государственному нормированию заработной платы служащих государственных учреждений осуществить на следующих основаниях:

а) установление штатов по каждому учреждению производится приме-

და გადაირიცხება სააელმწიფო შემოსავალში.

7. ამ დადგენილებით დაწესებული მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დანორმვის სისტემა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში განხორციელებულ უნდა იქნეს 1926-27 წლის დასაწყისიდან.

**შენიშვნა.** სამუშაო ხელფასის დანორმვის სისტემის განხორციელების ვადა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის დადგენილ იქნება ცალკე.

8. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ დანორმვაზე გადასვლა მოხდება შემდეგ საფუძვლებზე:

ა) შტატების განსაზღვრა თვითეულ დაწესებულებაში სწარმოებს იმ საშტატო კონტინგენტის მიხედვით, რაც დამყარებულია საქართველოს ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის მიერ, მოსამსახურეთა ფაქტიური რიცხვის ანგარიშში მიღებით; თანაც თანამდებობათა სახელწოდება შეფარდებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად დაწესებულ ნომენკლატურასთან;

ბ) თვითეულ საშტატო თანამდებობას მიეკუთვნება მტკიცე ჯამაგირი, რომლის განსაზღვრის დროსაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს, როგორც ფაქტიურად არსებული სამუშაო ხელფასი, ისე სამუშაო ხელფასის კრედიტების საერთო რაოდენობა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით ცალ-ცალკე;

გ) პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის მიხედვით თანაბარ თანამდებობათა ჯამაგირები, შეძლებისდაგვარად, გათანასწორებულ უნდა იქნეს ყველა დაწესებულებაში, ხოლო ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტზე თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება დაწესებულება, და აგრეთვე ტერიტორიალური ნიშანი (რაიონი).

9. ამა დადგენილების განხორციელებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა დაევალება საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატს. ამა რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესამუშავებლად და აგრეთვე მთლიანი ნომენკლატურისა და ჯამაგირების სქემის პროექტის განსახილველად საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისა-

нительно к штатным контингентам, установленным НК РКИ ССР Грузии с учетом фактического числа служащих, причем наименование должностей приводится в соответствие с номенклатурой, установленной согласно ст. 2 настоящего постановления;

б) каждой штатной должности присваивается твердый оклад, с учетом фактически существующих выплат по ней, а также общих размеров кредита на зарплату, по государственному и местному бюджету отдельно, и

в) оклады должностей, равных по степени ответственности и квалификации должны быть, по возможности, уравнены во всех учреждениях, с учетом, однако, способа финансирования (государственный или местный бюджет) и территориального признака (района).

9. Наблюдение и руководство по проведению в жизнь настоящего постановления возложить на НКТруда ССР Грузии, причем для разработки мероприятий, связанных с осуществлением настоящей реформы и для рассмотрения проектов единой номенклатуры и схемы окладов, при НК-Труда ССР Грузии образовать комиссию в составе постоянных представителей: НКФ, НК РКИ, Госплана, ВСНХ, Совпрофа и Профсоюза Совторгслужащих, под председательством представителя НКТруда.

*Примечание 1.* К работам комиссии привлекаются с правом совещательного голоса представители НКТруда ССР Абхазии, АССР Аджаристана и АО Юго-Осетии.

*Поимечание 2.* При обсуждении вопросов, касающихся предметов ведения того или иного ведомства или профсоюза, в состав комиссии приглашаются представители соответствующего ведомства или профсоюза.

10. Впредь до осуществления мероприятий, предусмотренных настоящим постановлением, сохраняется существующая система оплаты служащих государственных учреждений.

11. В отношении предприятий, состоящих на коммерческом и хозяй-

რიატთან მოეწყობა კომისია, რომელშიაც შევლენ საქართველოს პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსი, ფინსახკომის, მუშ. და გლეხ. ინსპექციის სახ. კომის., სახელმწო საგეგმო კომისიისა, ს. მ. უ. ს. საბჭოს და საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის მუდმივი წარმომადგენელნი; კომისიას თავმჯდომარეობს შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

**შენიშვნა** 1. ამასთანავე კომისიის შედგენილობაში მიწვეულ იქნებიან სათათბირო ხმის უფლებით აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის შრომის სახკომების წარმომადგ ნელნი.

**შენიშვნა** 2. ამა თუ იმ უწყებისა ან პროფკავშირის გამგებლობის საგნის განხილვის დროს აღნიშნულ კომისიაში მიწვეულ უნდა იქნენ დაინტერესებული უწყების და პროფკავშირის წარმომადგენელნი.

10. ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებამდე დაცულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სასყიდლის გაცემის არსებული სისტემა.

11. კომერციულ ან სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში შენარჩუნებულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის კოლექტიური ხელშეკრულების დადებით მოწესრიგების სისტემა. ამასთანავე წინადადება მიეცეს სახკომებს, რომელთა გამგებლობაშიაც ეს დაწესებულებანი იმყოფებიან,—სამმართველოების აპარატის მოსამსახურეებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს, შეძლებისდაგვარად, იხელმძღვანელონ დადგენილება ესე; თანაც მხედველობაში უნდა მიიღონ ყოველი დაწესებულებისა და საწარმოს ინდივიდუალობა.

12. ცალკე დაწესებულებათათვის დადგენილი შტატების კონტინგენტი და აგრეთვე ჯამაგირების პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში ა/წ. მაისის 15-სთვის.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

ственном расчете, сохранить систему регулирования заработной платы путем заключения коллективных договоров.

Народным Комиссариатам, в ведении которых находятся эти предприятия, предложить руководствоваться, по мере возможности, при заключении колдоговоров со служащими управленческих апаратов этих предприятий, настоящим постановлением, с учетом индивидуальности каждого учреждения и предприятия.

12. Установленные для отдельных учреждений штатные контингенты и проекты окладов представить в Совнарком ССР Грузии не позже 15 мая с. г.

Зам. Председателя Сов. Нар. Ком. ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. мая 8.
Тифлис—Дворец.

# 76. დადგენილება

## საქართველოს სახ. კომისართა საბჭოსი

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დამზადებისა და გავრცელებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, ადგილობრივი პირობების (ეკონომიური, ნიადაგისა, კლიმატიური და სხვ.) შესაფერი ღირსებისა, ტიპისა და მარკის სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდების საქმე წესიერად და გეგმაშეწონილად იქნეს დაყენებული, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებას და საწარმოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა იარაღების გავრცელებისა და მათ საკუთარ ქარხნებში და მექანიკურ სახელოსნოებში ამ მანქანა-იარაღების და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმეში.

2. ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულება და საწარმო, რომელიც კი მოისურვებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოტანას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, მცხოვრებთა შორის გასავრცელებლად, ვალდებულია მიიღოს წინასწარ ამის ნებართვა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან. თხოვნაში გარკვეულად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახისა, ტიპისა და მარკისაა ის მანქანა-იარაღი, რის გავრცელებასაც იგი აპირობს, აგრეთვე ის რაიონი, სადაც განზრახულია მანქანა-იარაღების გავრცელება.

3. წინა მუხლში აღნიშნული ყველა დაწესებულება და საწარმო, რომელიც კი მოისურვებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, აგრეთვე მათი სათადარიგო ნაწილების დამზადებას თავის ქარხნებში და მექანიკურ სახელოსნოებში, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ-

# 76. Постановление

## Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### О надзоре за изготовлением и распространением в пределах ССР Грузии сельско-хозяйственных машин и орудий.

В целях планомерной постановки дела снабжения сельского населения ССР Грузии сельско-хозяйственными машинами и орудиями надлежащего качества, типов и марок, соответствующих местным условиям (экономическим, почвенным, климатическим и др.), Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Возложить на Народный Комиссариат Земледелия наблюдение и контроль над государственными, общественными и кооперативными учреждениями и предприятиями в деле распространения ими ввозимых в пределы ССР Грузии сельско-хозяйственных машин и орудий и изготовления таковых и запасных к ним частей на принадлежащих им заводах и в механических мастерских.

2. Обязать все государственные, общественные и кооперативные учреждения и предприятия, желающие ввести в пределы ССР Грузии, для распространения среди населения, сельско хозяйственные машины и орудия, предварительно испрашивать на сей предмет разрешение Народного Комиссариата Земледелия, с представлением точных сведений о виде, типе и марке машин и орудий, предлагаемых к распространению и о местностях для коих таковые предназначены.

3. Обязать указанные в предыдущей статье учреждения и предприятия, желающие изготовлять на своих заводах и в механических мастерских сельско-хозяйственные машины и орудия, а равно запасные к ним части, для распространения в пределах ССР Грузии, предварительно испрашивать на сей предмет разрешение Народного Комиссариата Земледелия, с представлением пробных проектов и описаний этих машин, орудий и запасных частей.

ლიკის ფარგლებში გასავრცელებლად, ვალდებულია მიიღოს წინასწარ ამის ნებართვა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან; ამასთანავე მან უნდა წარადგინოს ამ მანქანებისა, იარაღებისა და მათი სათადარიგო ნაწილების სანიმუშო პროექტები და აღწერა.

4. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოითხოვოს საჭირო შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანისა, იარაღისა და სათადარიგო ნაწილის სანიმუშო ცალი გამოცდისათვის.

**შენიშვნა.** მანქანისა, იარაღისა და სათადარიგო ნაწილის სანიმუშო ცალი გამოცდის შემდეგ უნდა დაებრუნოს იმ დაწესებულებას და საწარმოს, რომელმაც იგი წარადგინა.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხ. გათვალისწინებული ნებართვა გასცეს ხოლმე მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც გამორკვეულია, რომ მანქანებისა, იარაღებისა და მათი სათადარიგო ნაწილების სახე, ტიპი და მარკა კარგი ღირსებისაა და შეეფერება ადგილობრივ პირობებს იმ რაიონისას, სადაც განზრახულია ამ მანქანა-იარაღების გავრცელება; ნებართვის გაცემის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის საერთო გეგმა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. მაისის 12.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-108 №-ში 1926 წ. მაისის 15.

4. Предоставить Народному Комиссариату Земледелия право, в необходимых случаях, требовать представления для опытной проверки образцов сельско-хозяйственных машин, орудий и запасных частей.

*Примечание.* Образцы машин, орудий и запасных частей по производстве опытной поверки подлежат возвращению учреждениям и предприятиям их представившим.

5. Предложить Народному Комиссариату Земледелия выдавать разрешения, предусмотренные ст. ст. 2 и 3 сего постановления, лишь в случаях признания вида, типа и марки машин, орудий и запасных к ним частей доброкачественными и соответствующими местным условиям района, в коем машины или орудия данного типа предлагаются к распространению, а равно с учетом при выдаче разрешения общего плана механизации сельского хозяйства.

Зам. Председ. Сов Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Нар. Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. мая 12.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист" № 108 от 15 мая 1926 г.

## 77. დადგენილება

**საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებული სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭოს შტატის დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებული სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭოს შტატი დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით:

1) **გიორგი ჩუბინაშვილი** (სამხატვრო აკადემიის პროფესორი);
2) **ივანე თულაშვილი** (სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტორი)
3) **მიხეილ მაჭავარიანი** (სამხატვრო აკადემიის აოქიტექტორი);
4) **ანატოლი კალგინი** (სამხატვრო აკადემიის არქიტექტორი);
5) **ინჟ. სევეროვი ნიკ.** (სამხატვრო აკადემიის არქიტექტორი);
6) **პროფ. იაკობ ნიკოლაძე** (მოქანდაკე);
7) **მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე.**

საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული შტატის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევამდე დამტკიცებულ იქნეს სამი ათას ხუთას ორმოცი (3.540) მან. რაოდენობით.

ზემოხსენებული თანხა გაღებულ იქნეს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის 1°/₀-იან ანარიცხით შემოსული სახსარიდან.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. მაისის 15.
ტფილისი — სასახლე.

## 77. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об утверждении штата Художественно-Архитектурного Совета при Строител но Техническом Комитете Экосо ССР Грузии.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Штат Художественно-Архитектурного Совета при Строительно Техническом Комитете ЭКОСО ССР Грузии утвердить в следующем составе:

1. *Г. Н. Чубинашвили* (Профессор Академии Художеств).
2. *И. Н. Тулашвили* (Архитектор Госуд. Унивеситета).
3. *М. С. Мачавариани* (Архитектор Академии Художеств).
4. *А. Н. Кальгин* (Архитектор Академии Художеств).
5. *Инж. Н. П. Северов* (Архитектор Академии Художеств).
6. *Профессор Я. И. Николадзе* (Скульптор).
7. *Художник Шеварднадзе.*

Председателем Совета назначается Председатель Строительно-Технического Комитета.

2. Смету по означенному в п. 1-м настоящего постановления шт ту до конца текущего бюджетного года утвердить в размере трех тысяч пятисот сорока (3.540) руб

Означенную сумму отпустить из средств Строительно-Технического Комитета за счет поступлений 1°/₀ отчисления.

Зам. председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. мая 15.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 78. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული საქართველოს ს.ს.რ. ქალაქებში მდებარე სახლების თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მარტის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-6 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მარტის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ მსესხებელი მოისურვებს ვადამდე სრულიად გადაიხადოს მასზე დარიცხული ვალი, ტფილისის კომუნალური ბანკის გამგეობას უფლება აქვს, თავისი შეხედულებით, შეუმციროს ვალი ასეთ მსესხებელს, ხოლო ეს შემცირება ვალის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს."

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

## 78. Постановление

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об изменении редакции ст. 6 декрета Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии, отъ 30 марта 1923 года, о домах в городах Соц. Сов. Респ. Грузии, заложенных в Земельных банках Грузии и в Тифлисском Городском Кредитном Обществе.**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

Ст. 6 декрета Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии от 30 марта 1923 г. о домах в городах Соц. Сов. Респ. Грузии, заложенных в Земельных банках Грузии и в Тифлисском Городском Кредитном Обществе, принять в следующей редакции:

„В том случае, когда заемщик пожелает до наступления срока выплатить числящийся за ним долг полностью, Правлению Тифлисского Городского Банка предоставляется право, по своему усмотрению, сделать такому заемщику скидку с долга до 20-ти процентов".

Зам. Председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *А. Саларидзе.*

1926 г. июня 5.
Тифлис—Дворец.

---

## 79. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სახელმწიფო საძოვრების სარგებლობისათვის დაწესებული სახყიდლის უდავო წესით გადახდევინების შესახებ.**

თანახმად ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ნოემბრის 18-ის დადგენილებისა—სახელმწიფო შემოსავლის ზოგიერთი კატეგორიის გა-

## 79. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**О взыскании платежей за пользование государственными пастбищами в бесспорном порядке.**

На основании постановления Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 18 ноября 1924 г., о взыскании платежей по некоторым категориям го-

დასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 732 №-რი 1924 წ. ნოემბრის 20-სა), აგრეთვე თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ოქტომბრის 26-ს დადგენილებისა იმ კანონთა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრკ ც. ა. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ოქტომბრის 2 ს დამტკიცებული გადასახადთა გადახდევინების დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო (გაზ. „ზარია ვასტოკა“-ს 1016 №-რი 1925 წ. ოქტომბრის 30-სა), საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უკეთუ სახელმწიფო საძოვრით მოსარგებლე, ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადახდის ვადის გასვლისა, არ შეიტანს საძოვრის სარგებლობისათვის დაწესებულ სასყიდელს, ეს სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით, იმ იძულებითი ღონისძიებათა ხმარებით, რაც აღნიშნულია სსრკ ც. ა. კ-ტისა და სახ. კომ საბჭოს მიერ „გადასახადთა გადახდევინების შესახებ“ 1925 წ. ოქტომბრის 2-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-15 მუხლში.

2. დაევალოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული სასყიდლის გადახდის ვადის გადაცდენა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რათა გადაუხდელი ფული ჩაირიცხოს ნარჩენად და ფინგანყოფილების განკარგულებით გადახდევინებულ იქნეს საურავის დარიცხვით, თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ნოემბრის 18-ს დადგენილების მე-3 მუხლისა.

3. საძოვრების სარგებლობისათვის გადაუხდელი სასყიდლისა და დარიცხული საურავის გადახდევინება უნდა მიქცეულ იქნეს მოვალის ქონებაზე ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ტის მიერ „გადასახადთა გადახდევინების შესახებ“ 1925 წ. ოქტომბრის 2-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-17 მუხლის დაცვით.

4. დადგენილება ესე გავრცელდება აგრეთვე ყველა იმ ვალზედაც, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე ირიცხებოდა საძოვრებით მოსარგებლეზე.

5. საჩივარს იმის გამო, რომ ამა და-

сударственных доходов в бесспорном порядке („Заря Востока“ от 20 ноября 1924 г. № 732), а равно постановления „Закавказского Центрального Исполнительного Комитета, от 26 октября 1925 г., об отмене узаконений, утративших силу с введением в действие утвержденного ЦИК'ом и и СНК СССР от 2 октября 1925 г., Положения о взимании налогов („Заря Востока“ от 30 октября 1925 г. № 1016) Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. В случае невнесения пользователями государственными пастбищами следуемых с них платежей в течение одного месяца со дня истечения срока взноса, взыскание таковых производить в бесспорном порядке принудительными мерами, указанными в ст. 15 Положения ЦИК-а и СНК СССР, от 2 октября 1925 г, о взыскании налогов („Заря Востока“ от 30 октября 1925 г. № 1016).

2. Вменить Наркомзему в обязанность немедленно уведомлять Наркомфин ССР Грузии о каждом случае просрочки упомянутых в ст. 1-й настоящего постановления платежей на предмет зачисления неуплаченной суммы в недоимку и взыскания таковой вместе с пеней распоряжением Финотдела на основании ст. 3 постановления Совнаркома ЗСФСР от 18 ноября 1924 года.

3. Взыскание с недоимщиков числящихся за ними платежей и пени за пользование пастбищами обращать на имущество должников с соблюдением ст. 17-й Положения ЦИК'а и СНК СССР от 2 октября 1925 г. о взимании налогов.

4. Действие настоящего постановления распространяется и на долг, числящийся за пользователями пастбищами по день его опубликования.

5. Жалобы на неправильное взыскание предусмотренных настоящим постановлением платежей в силу ст. 4-й Постановления Совнаркома ЗСФСР от 18 ноября 1924 г. рассматриваются Совнаркомом ССР Грузии, причем

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილებაში აღნიშნული გადასახდელი სწორედ არ იყო გადახდევინებული, თანახმად ა|კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ნოემბრის 18-ის დადგენილების მე 4 მუხლისა, განიხილავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო გასაჩივრება ვერ შეაჩერებს გადახდევინებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. ფაღავა.**

1926 წ. ივნისის 19.
ტფილისი- სასახლე.

обжалование не приостанавливает производства взыскания.

Зам. Председателя Сов. Нар. Ком, ССР Грузии *С. Джугели.*

Зам. Управляющего Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Б. Пагава.*

1926 г. июня 19.
Тифлис—Дворец.

---

## 80. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სახელმწიფო სადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადებისათვის წესების დამტკიცების შესახებ.**

ა|კ ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ" 1924 წ. დეკემბრის 22-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები სახელმწიფო სადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადების შესახებ.

### თ ა ვ ი I.

**სახელმწიფო სადგილ-მამულო ქონების გამოკვლევა.**

1. რათა გამორკვეულ და გამოსაყენებლად მოგვარებულ იქნენ ის სახელმწიფო სადგილ-მამულო ქონებანი, რომელთა იჯარით გაცემაც შესაძლებელია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხოკომისარიატი

## 80. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об утверждении Правил о порядке, условиях и сроках использования государственных земельных имуществ.**

В развитие постановления ЦИК-а и СНК ЗСФСР от 22 декабря 1924 г., об аренде государственных земельных имуществ—Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Утвердить нижеприведенные Правила о порядке, условиях и сроках использования государственных земельных имуществ.

### Глава 1.

*Об обследовании государственных земельных имуществ.*

1. Для приведения в известность и подготовки к использованию государственных земельных имуществ, могущих быть сданными в аренду, Народный Комиссариат Земледелия ССРГ производит их обследование и регистрацию.

2. Обследование производится посредством учета площади данного государственного земельного имущества

ბიბლიოთეკა

მოახდენს ამ ქონებათა გამოკვლევას და რეგისტრაციას.

2. გამოკვლევა უნდა მოხდეს ისე, რომ აღინუსხოს სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სივრცე და მასში შემავალი სახახები, შენობები და უსულო და სულიერი ინვენტარი.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება გამოკვლევისთანავე, ჩაიწერება საგანგებო საინვენტარო დავთარში, რომელიც წარმოებულ უნდა იქნეს იმ ფორმით და იმ წესით, რასაც დაამყარებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რ. ფინსახკომთან შეთანხმებით.

3. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოკვლევა მოხდება იმ მიწის მოსარგებლის ხარჯით, რომელიც ამ ქონებას სარგებლობს.

იმ სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოკვლევის ხარჯი, რაც არავის სარგებლობაში არ არის ან რასაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ისეთი დაწესებულება სარგებლობს, რომელიც ფინანსიურად სახელმწიფო ბიუჯეტზეა, აგრეთვე თავისუფალი სათადარიგო მიწების გამოკვლევის ხარჯი მიეწერება საამისოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ კრედიტებს.

## თ ა ვ ი II.

### საბჭოთა მეურნეობა.

4. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების საბჭოთა მეურნეობად და საშემოსავლო ქონებად დაყოფას მოახდენენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

**შენიშვნა.** საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენს მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთ და დანიშნულებისდა მიხედვით განიყოფებიან:

ა) საცდელ-საჩვენებელ და სხვა სპეციალური დანიშნულების საბჭოთა მეურნეობას, რომელიც ხელს შეუწყობს ცდის საშუალებით სასოფლო-მეურნეობის სხვა და სხვა დარგის გაუმჯობესების საქმის შეს-

и входящих в него угодий, построек и живого и мертвого инвентаря и т.д.

По мере обследования государственные земельные имущества записываются в особые инвентарные книги, которые ведутся по форме и в порядке, установленном Народными Комиссариатом Земледелия ССРГ по соглашению с Наркомфином ССР Грузии.

3. Обследование государственных земельных имуществ производится за счет землепользователей, в пользовании которых состоят эти имущества.

Расходы по обследованию государственных земельных имуществ, не состоящих в чьем либо пользовани или ходящихся в пользовании учреждений Наркомзема ССРГ и финансируемых по Госбюджету, в том числе свободного земельного запаса, относятся на кредиты, отпускаемые Наркомзему на эту надобность в сметном порядке.

## Глава II.

### *О Советских хозяйствах (Совхозах).*

4. Подразделение госземимущества на совхозы и доходные статьи производится органами Наркомзема ССРГ по соглашению с Наркомфином ССР Грузии.

*Примечание.* Советские хозяйства (совхозы) представляют собою оборудованные сельскохозяйственные предприятия и разделяются в зависимости от их назначения на: а) опытно-показательные и другие совхозы специального назначения, обслуживающие цели опытного изучения улучшенной постановки различных отраслей сельского хозяйства, пропаганды наиболее совершенных форм земледелия среди местного населени, а также удовлетворяющие учебные, культурно-просветительные, лечебные и иные специальные нужды;

б) промышленные совхозы, удовлетворяющие производственные нужды промышленных предприятий, посредством возделы-

წაძლას და ადგილობრივ მოსახლეობაში მეურნეობის უაღრესად განვითარებული ფორმების პროპაგანდას, და რომელიც აგრეთვე დააკმაყოფილებს სასწავლო, კულტურულ-განმანათლებელ, სამკურნალო და სხვა სპეციალურ საჭიროებას;

ბ) სამრეწველო საბჭოთა მეურნეობად, რომელიც დააკმაყოფილებს სამრეწველო საწარმოთა წარმოებითი საჭიროებას მით, რომ დაამუშავებს სამრეწველო-სანედლეულო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს (თამბაქოს და ბამბის პლანტაციები და ვენახები);

გ) საპროდუქტო საბჭოთა მეურნეობად, რაც წარმოადგენს რაციონალურად დაყენებულ მეურნეობას და იძლევა სასურსათო პროდუქტებს იმ დაწესებულებისა, საწარმოთ და ორგანიზაციისათვის, რომლის ხელშიაც ეს საბჭოთა მეურნეობაა.

5. საბჭოთა მეურნეობის ექსპლოატაციას აწარმოებს უშუალოდ თვით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ან იგი მეურნეობა სარგებლობისათვის გადაეცემა ამა თუ იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას და საწარმოს ხელშეკრულებით ან საჯარო ვაჭრობით,. ხოლო კერძო პირთა სარგებლობად მეურნეობა გაიცემა მარტოოდენ საჯარო ვაჭრობით.

**შენიშვნა.** აკრძალულია საბჭოთა მეურნეობის იჯარით მიცემა ყოფილი მფლობელისათვის და, საზოგადოდ, არამშრომელი ელემენტისათვის.

6. ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობის სარგებლობად გაცემის შესახებ დაიდება თანახმად იმ ტიპიური ხელშეკრულებისა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; დადებული ხელშეკრულების ასლი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა განყოფილებას.

7. საბჭოთა მეურნეობის სარგებლობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს საიჯარო სასყიდელი, რომელიც

вания сельско-хозяйственных культур, имеющих промышленно-сырьевое значение (табачные, хлопковые плантации, виноградники);

в) продуктовые совхозы, представляющие собой рационально-поставленные хозяйства, производящие продовольственные продукты для нужд учреждений, предприятий и организаций, которым эти совхозы предоставлены.

5. Совхозы эксплоатируются или непосредственно самим НКЗемом ССРГ или же предоставляются в пользование государственных и общественных организаций, учреждений и предприятий на договорных началах, или же путем сдачи с публичных торгов, а в пользование отдельных лиц исключительно путем сдачи с торгов.

*Примечание*. Воспрещается сдавать в аренду совхозы бывшим владельцам и вообще нетрудовым земельным собственникам.

6. Договоры о предоставлении совхозов в пользование заключаются на основании типового договора, вырабатываемого НКЗемом ССРГ по соглашению с Наркомфином ССР Грузии. Копии заключенных договоров представляются в Отдел Госдоходов Наркомфина ССР Грузии.

7. За пользование Совхозами взимается арендная плата, исчисляемая исключительно в денежной форме; основания для исчисления арендной платы определяются соглашением Народного Комиссариата Земледелия ССРГ и Наркомфина ССР Грузии. Материалы представляются в Отдел Госдоходов Наркомфина ССР Грузии.

8. Договоры на сдачу в аренду совхозов утверждаются Народным Комиссаром Земледелия ССРГ.

9. Сдача совхозов в арендное пользование производится на срок не свыше 12 лет и лишь при закладке виноградников, плодовых садов, чайных плантаций и др. ценных монокультурных насаждений — на срок не свыше 20 л. При возведении не капитальных хозяйственных сооружений

გამოიანგარიშება მარტოოდენ ფულად; საიჯარო სასყიდლის გამოანგარიშების საფუძველი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. მასალები და ასლი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა განყოფილებას.

8. ხელშეკრულებას საბჭოთა მეურნეობის იჯარით გაცემის შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

9. საბჭოთა მეურნეობის იჯარით გაცემა შეიძლება ვადით არა უმეტეს 12 წლისა და მხოლოდ ვენახის გაშენებისა, ხეხილის ჩაყრისა, ჩაის პლანტაციის მოწყობისა და სხვა ძვირფას მონოკულტურულ მცენარეთა გაშენებისათვის მეურნეობა იჯარით შეიძლება გაიცეს ვადით არა უმეტეს 20 წლისა. ხოლო კაპიტალური სამეურნეო ნაგებობისა და შენობების დადგმისათვის იჯარის ვადა შეიძლება გაგრძობილ იქნეს 30 წლამდე.

10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წარმოებითი გეგმის შესრულებას კონტროლს გაუწევს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები.

## თ ა ვ ი III.

### საშემოსავლო ქონება.

11. საშემოსავლო (საიჯარო) ქონება არის სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებიდან გამოყოფილი ისეთი სამეურნეო ერთეული, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს მით, რომ თავისთვის რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებით გადასცემს ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული ვადით საადგილ-მამულო საზოგადოებას, საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, არტელს და სხვ., და აგრეთვე კერძო პირსაც.

**შენიშვნა.** საშემოსავლო ქონების იჯარის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს იმ პირობებს, რაც განისაზღვრება საშემოსავლო ქონების ხასიათითა და დანიშნულებით; ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნეს სათანადო ტიპიური ხელშეკრულების მიხედვით.

и построек—срок аренды может быть продлен до 30 лет.

10. Контроль за выполнением обусловленных договорами производственных планов осуществляется органами НКЗема ССРГ.

## Глава III.

### *О доходных статьях.*

11. Доходные (арендные) статьи суть хозяйственные единицы, образованные из состава государственных земельных имуществ и используемые путем наивыгоднейшего для Государства возмездного предоставления их на договорных началах и на определенный срок земельным обществам, предприятиям, организациям, учреждениям, артелям и т. п., а также отдельным лицам.

*Примечание.* Договоры на сдачу в аренду доходных статей должны заключать в себе условия, определенные родом статьи и ее хозяйственным назначением, и составляются применительно к соответственным типовым договорам.

12. Доходные (арендные) статьи разделяются на:

а) статьи, образуемые из земельных участков, предназначенных для непосредственного сельско-хозяйственного использования;

б) статьи, состоящие из хозяйственных единиц промышленного и промыслового назначения, а также участков, используемых под застройки.

13. Доходные статьи предоставляются в арендное пользование государственных и общественных организаций, учреждений и предприятий на договорных началах, а также отдельных лиц с торгов с тем, что при равенстве условий, преимущество перед прочими соискателями отдаются трудовым элементам.

*Примечание.* Сдача в аренду доходных статей, содержащих в недрах своих полезные ископаемые, допускается лишь на началах, изложенных в действу-

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საზემოსავლო (საიჯარო) ქონებანი განიყოფებიან:

ა) იმ ქონებად, რომელსაც შეადგენს სასოფლო მეურნეობისათვის უშუალოდ გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთები და

ბ) იმ ქონებად, რომელნიც წარმოადგენს სამრეწველო და სასარეწაო დანიშნულების სამეურნეო ერთეულს, აგრეთვე საალნაგოდ გამოსაყენებელ ნაკვეთებს.

13. საშემოსავლო ქონება მიეცემა საიჯარო სარგებლობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას და საწარმოს ხელშეკრულების საფუძველზე; კერძო პირს იგი მიეცემა საჯარო ვაჭრობით, ხოლო თანასწორ პირობებში უპირატესობა შეჯიბრების სხვა მონაწილეებთან შედარებით მიეცემა მშრომელ ელემენტებს.

**შენიშვნა.** იჯარით გაცემა ისეთი საშემოსავლო ქონებისა, რომლის წიაღშიაც მოიპოვება რაიმე მადნეულობა, შეიძლება მხოლოდ მიწის წიაღის შესახებ მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

14. საშემოსავლო ქონების საიჯარო სარგებლობისათვის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს; ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ აშენებული იქნება ღირებული სამეურნეო შენობა, რთული ნაგებობა, ან უკეთუ გაწეულ იქნება სხვა კაპიტალური სამელიორაციო ხარჯი, ეს ქონება შეიძლება საიჯაროდ გაიცეს ვადით არ უმეტეს 24 წლისა.

15. ამა წესების მე-8 მუხლი გავრცელდება საშემოსავლო ქონების იჯარით გაცემაზედაც.

16. საშემოსავლო (საიჯარო) ქონება, რომელიც საჯარო ვაჭრობით ვერ გაიცა, ხელახალი ვაჭრობის შემდეგ დარჩება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახკომის სამეურნეო გამგებლობაში, ან და კომისარიატი საჯარო ვაჭრობის გარეშე გასცემს მას საიჯაროდ ვადით არა უმეტეს 3 წლისა.

17. საიჯარო სასყიდლისა და საურავის გადახდევინება მოხდება უდავო წესისამებრ, ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 18-ს თარიღისა და 60 №-რი დადგენილებისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ოქტომბრის 16 დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად.

ющем законодательстве о недрах земли.

14. Сдача доходных статей в арендное пользование производится на срок не свыше 12 л. и лишь при возведении ценных хозяйственных построек, сложных сооружений или производстве других капитальных мелиоративных затрат на срок не свыше 24 лет.

15. Статья 8 сих правил распространяется на сдачу в аренду доходных статей.

16. Доходные (арендные) статьи, не сданные с торгов, остаются после переторжки в хозяйственном заведывании Народного Комиссариата Земледелия ССРГ, либо передаются им в аренду без торгов на срок не свыше 3-х лет.

17. Взыскание арендных платежей и пени по арендным договорам производится в безспорном порядке, согласно постановления Совета Народных Комиссаров Закавказской Социалистической Федератив. Сов. Республики от 18 ноября 1924 г. за № 60 и п. 8-го постановления Закавказского Центрального Исполнительного Комитета от 26 октября 1925 года.

## Глава IV.

### *О свободном земельном запасе.*

18. Государственные земельные имущества, не поступившие в надлежащем порядке в чье-либо постоянное или срочное пользование, почитаются свободным земельным запасом.

19. Свободный земельный запас предназначается:

а) для наделения безземельных и малоземельных граждан землей в трудовое пользование;

б) для организации новых советских хозяйств и доходных статей;

в) для целей переселения и расселения;

г) для сдачи концессионным порядком;

д) для отвода ведомствам и учреждениям участков специального назначения;

е) для извлечения доходов по билетам на право побочного пользова-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი IV.

### თავისუფალი სათადარიგო მიწა.

18. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება, რომელიც არ გადავიდა სათანადო წესისამებრ ვისიმე სამუდამო ან დროებითი სარგებლობაში, ჩაითვლება თავისუფალ სათადარიგო მიწად.

19. თავისუფალი სათადარიგო მიწა მოიხმარება:

ა) უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლიან მოქალაქეთათვის მიწის საშრომო სარგებლობისათვის მისაცემად;

ბ) ახალი საბჭოთა მეურნეობის და საშემოსავლო ქონების მოსაწყობად;

გ) გადასახლების და დასახლებისათვის;

დ) საკონცესიო წესისამებრ გასაცემად;

ე) უწყებათა და დაწესებულებათათვის სპეციალური დანიშნულების ნაკეთების მისაცემად;

ვ) შემოსავლისათვის არაპირდაპირი სარგებლობის უფლების ბილეთებით (საქონლის ძოვება და გატარება, ხრეშის, ქვიშის ამოღება და სხვ.).

20) საზაფხულო და საზამთრო საძოვრები იჯარით გაიცემა იმ ვადით და განსაკუთრებული პირობებით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

## თ ა ვ ი V.

21. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია და ცირკულარი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სარგებლობის წესის დაწვრილებითი განსაზღვრისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 23.

ტფილისი—სასახლე.

ния (выпас и прогон скота, сбор гальки, песка и др.).

20. Пастбища летние и зимние сдаются в аренды на сроки и на особых условиях, устанавливаемых НКЗемом ССРГ.

## Глава V.

21. НКЗему ССРГ совместно с Наркомфином ССР Грузии, а также по соглашению в надлежащих случаях с заинтересованными ведомствами, предоставляется издавать инструкции и циркуляры, подробно определяющие порядок использования государственных земельных имуществ.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. июня 23.
Тифлис—Дворец.

## 81. დადგენილება

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**ამხ. ს. ჯუღელის საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან განთავისუფლებისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. მ. ოკუჯავას დანიშვნის შესახებ.**

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამხ. სვიმონ ჯუღელი განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან, მისი თხოვნის თანახმად.
2. საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. მ. ოკუჯავა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

## 81. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об освобождении т. С Джугели от должности Председателя Государственной Плановой Комисс и ССР Грузии и назначении Председателем Государственной Плановой Комиссии ССР Грузии т. М. Окуджава.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Тов. Семена Джугели, согласно его просьбы, освободить от должности Председателя Государственной Плановой Комиссии ССР Грузии.
2. Председателем Государственной Плановой Комиссии ССР Грузии назначить тов. М. Окуджава.

Председатель Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управл. Делами Совета Народных Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. июня 26.
Тифлис—Дворец.

---

## 82. დადგენილება

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს ს.ს. რ. ეკონომიურ საბჭოს შედგენილობის შესახებ.**

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 23-ს დადგენილების თანახმად საქართველოს ს. ს. ეკონომიური საბჭო დამტკიცდეს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ამხ. შ. ელიავა, მისი მოადგილე—ამხ. ს. ჯუღელი, წევრები—ამხანაგნი: ალ. გეგეჭკორი (მის მონაცვლედ ამხ. ძამახაშვილი), გერმან მგალობლიშვილი, ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე, გიორგი ყურულაშვილი, არჩილ მიქაძე, ლ. სუხიშვილი (მის მონაც-

## 82. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**О составе Экономического Совета ССР Грузии.**

Согласно постановления Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 23 июня 1926 г. Экономический Совет ССР Грузии утвердить в следующем составе: Председатель—т. Ш. Элиава, Зам. Председателя—т. С. Джугели, Члены: т.т. Ал. Гегечкори (в случае отсутствия с заменой тов. Дзаманашвили), Герман Мгалоблишвили, инженер В. Чичинадзе, Г. Курулашвили, А. Микадзе, Л. Сухи-

ვლედ ამხ. ივანოვ-კავკასკი), მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი და მ. ოკუჯავა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 26
ტფილისი-სასახლე.

шврили (в случае отсутствия с заменой тов. Ивановым-Кавказским), М. Кахиани, Л. Картвелишвили и М. Окуджава.

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. июня 26
Тифлис—Дворец.

---

## სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

## 83. ინსტრუქცია

**სამაზრო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ საწარმოებელი სააღმშენებლო სამუშაოს ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.**

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების მე-II კარის მე-9 მუხლის განსამარტებლად და განსავითარებლად, დამყარდება შემდეგი წესი სამაზრო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოებული სააღმშენებლო სამუშაოს ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების განხილვისა და დამტკიცებისათვის:

1. ყოველგვარი სარემონტო, გადასაკეთებელი და ახლად დასადგმელი ნაგებობის სააღმშენებლო სამუშაო, რაოდენობისა და ხასიათის მიუხედავად, შეიძლება დაწყებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცებულ იქნება ამ სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და პროექტი ფინანსიურად და ტეხნიკურად.

**შენიშვნა 1.** ხარჯთაღრიცხვის ფორმა და შედგენის წესი დამყარდება განსაკუთრებული ინსტრუქციით.

**შენიშვნა 2.** იმ ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის წარდგენის ვადა, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ამა თუ იმ დაწესებულების ბიუჯეტში, დამყარდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

## Распоряжения Совета Народных Комиссаров.

## 83. Инструкция

**о порядке рассмотрения и утверждения проектов и смет на строительные работы, производимые уездными и темскими исполнительными комитетами.**

В развитие и пояснение п. 9 раздела II Положения о Строительно-Техническом Комитете при ЭКОСО ССР Грузии, устанавливается нижеследующий порядок прохождения проектов и смет на строительные работы, производимые уездными и темскими исполнительными комитетами:

1. Всякого рода строительные работы по ремонту, переустройству и постройке новых сооружений, независимо от характера и количества их, могут быть начаты лишь после утверждения проектов и смет на эти работы, как с финансовой, так и с технической стороны.

*Примечание 1.* Форма и порядок составления смет устанавливаются особой инструкцией.

*Примечание 2.* Сроки представления проектов и смет, подлежащих включению в бюджет данного учреждения, устанавливаются Народным Комиссариатом Внутренних Дел, по соглашению с Народным Комиссариатом Финансов и Строительно-Техническим Комитетом, причем

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, ფინანსთა სახ. კომისარიატთან და სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან შეთანხმებით; თანაც ხარჯთაღრიცხვა და პროექტი შედგენილ უნდა იქნეს თავის დროზე, ისეთი ვარაუდით, რომ ბიუჯეტის განხილვის და დამტკიცების დროს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უკვე შემოწმებული და და დამტკიცებული იყოს სათანადო წესისამებრ.

2. ის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგენილია თემის აღმასკომის მიერ მისი ბიუჯეტით საწარმოებელი სემუშაოსათვის, დამტკიცდება შემდეგი წესით:

ა) პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას მიმდინარე, წვრილი, შუათანა და კაპიტალურ რემონტის სამუშაოსათვის, რომლის ღირებულებაც 500 მან. არ აღემატება, დაამტკიცებს თემის აღმასკომი; დანარჩენი ხარჯთაღრიცხვა და პროექტი სამაზრო აღმასკომს წარედგინება;

ბ) თემის აღმასკომის მიერ წარდგენილ შუათანა და კაპიტალური რემონტის სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას, რომელიც 500 მანეთს აღემატება, დაამტკიცებს სამაზრო აღმასკომი;

გ) კაპიტალური გადასაკეთებელი და ახლად დასადგმელი ნაგებობის სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა სამაზრო აღმასკომის მეშვეობით წარედგინება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

3. ის პროექტი და ხარჯაღრიცხვა, რომელიც შედგენილია სამაზრო აღმასკომის მიერ მისი ბიუჯეტის საწარმოებელი სამუშაოსათვის, დამტკიცდება შემდეგი წესით:

ა) წვრილი, შუათანა და კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს თვით სამაზრო აღმასკომი;

ბ) კაპიტალური გადასაკეთებელი და ახლად დასადგმელი ნაგებობის ხარჯთაღრიცხვა და პროექტი წარედგინება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

4. სამაზრო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოში წარდგენილ ხარჯთაღრიცხვებს და პროე-

составление проектов и смет должно происходить заблаговременно, с таким расчетом, чтобы они были в надлежащем порядке проверены и утверждены ко времени рассмотрения и утверждения бюджета.

2. Составленные темисполкомами проекты и сметы на работы, производимые по темскому бюджету, утверждаются в следующем порядке:

а) проекты и сметы на работы по текущему, мелкому, среднему и капитальному ремонту, стоимость которого не превышает 500 руб., утверждаются самим темским исполкомом; остальные проекты и сметы представляются на утверждение в уездный исполком;

б) проекты и сметы на средний и капитальный ремонт, стоимость которого превышает 500 руб., утверждаются уездными исполкомами;

в) проекты и сметы на капитальное переустройство и постройку новых сооружений представляются через уисполком в Главное Управление Коммунального Хозяйства при НКВД.

3. Составленные уездными исполкомами проекты и сметы на работы, производимые по бюджету уездных исполкомов, утверждаются в следующем порядке:

а) проекты и сметы на мелкий, средний и капитальный ремонт утверждаются самим уездным исполкомом;

б) проекты и сметы на капитальное переустройство и постройку новых сооружений представляются в Главное Управление Коммунального Хозяйства при НКВД.

4. Проекты и сметы уездных и темских исполкомов, представленные в ГУКХ НКВД, утверждаются последним, за исключением работ, имеющих государственное значение, а также проектов и смет электростанций, фабрично-заводских зданий, театров, народных домов, больниц и школ 2-ой ступени, каковые представляются на утверждение в Строительно-Технический Комитет.

5. В отношении проектов и смет на работы, производимые Тифлисским

ქტებს დაამტკიცებს ხსენებული სამმართველო, იმ სამუშაოს გარდა, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და აგრეთვე გარდა ელექტრული სადგურისა, საქარხნო-საფაბრიკო შენობისა, თეატრისა, სახალხო სახლისა, საავადმყოფოს და მეორე საფეხურის სკოლის ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტებისა, რაც წარედგინება დასამტკიცებლად საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს.

5. იმ სამუშაოს ხარჯთაღრიცხვისა და პროექტისათვის, რომელსაც აწარმოებს ტფილისის აღმასკომი, დამყარდება განსაკუთრებული წესით, ამ აღმასკომთან შეთანხმებით.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1926 წ. მაისის 20.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-113 №-ში 1926 წ. მაისის 21.

исполкомом, устанавливается особый порядок по согласовании с названным исполкомом.

Зам. Председ. Сов. Нар. Комиссаров С. С. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. мая 20.
Тифлис—Дворец.

Республиковано в газете „Коммунист" № 113 от 21 мая 1926 г.

---

## ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი.

### 84. დადგენილება

**საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოსი**

**სახელმწიფო - სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.**

თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-18 №-რის დადგენილებისა—„კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ" (ა. კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411) და 1926 წ. მარტის 18-ს თარიღისა და მე-6 №-ის დადგენილებისა „სახელმწი-

## Постановления Экономического Совета.

### 84. Постановление

**Экономического Совета ССР Грузии**

**Об утверждении инструкции о деятельности между ведомственной комиссии по рассмотрению годовых отчетов государственных хозяйственных предприятий.**

Согласно постановлений Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 2-го апреля 1925 г. за № 18 „О порядке рассмотрения балансов и распределения прибылей государственных, торговых и промышленных предприятий, состоящих на коммерческом расчете" (С.У. ЗСФСР 1925 г. № 4, ст. 411) и от 18 марта 1926 года за № 6 „Об утверждении инструкции о деятельности междуведомственной комиссии по рассмотрению годовых отчетов государственных хозяйственных пред-

ფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (ა. კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 618)—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის მოქმედების შესახებ:

1. კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოთა წლიურ ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის კომპეტენციას შეადგენს:

ა) გამოარკვიოს რამდენად სისწორითაა დაცული საწარმოს მიერ მომქმედი წესებით გათვალისწინებული ფორმები ანგარიშებისა;

ბ) გამოარკვიოს, რამდენად სისწორით არის შეფასებული ბალანსის ცალკე მუხლები და ბალანსის დანართის მუხლები;

გ) განიხილოს წლიური ანგარიშის მიხედვით საწარმოს სამეურნეო საქმიანობა, რათა ცხადჰყოს, თუ რაოდენი მიზანშეწონილობით არის გამოყენებული მასში მოთავსებული სახელმწიფოს სახსარი;

დ) გამოარკვიოს საწარმოს მოგების ან ზარალის რაოდენობა და მისი განაწილების ან დაფარვის საშუალება;

ე) დაამტკიცოს საწარმოს წლიური ანგარიში და ნებადართოს მისი გამოქვეყნება.

2. საუწყებათაშორისო კომისიაში განსახილველი საკითხები წინასწარ განხილულ უნდა იქნეს ტეხნიკურ კომისიაში, რომელიც მოქმედობს იმავე უწყებათა წარმომადგენლების შედგენილობით, როგორც საუწყებათაშორისო კომისია.

3. ტეხნიკურ კომისიაში წარმომადგენლებად დაინიშნებიან სათანადო უწყებათა პასუხისმგებელი მომუშავე-სპეციალისტები.

**შენიშვნა.** საწარმოთა ანგარიშების განხილვის დროს საუწყებათაშორისო და ტეხნიკურ კომისიების სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ, სათათბირო ხმის უფლებით, საწარმოთა ხელმძღვანელები და მთავარი ბუხჰალტრები.

4. ტეხნიკური კომისიის თავმჯდომა-

приятий (С.У. ЗСФСР 1926 г. № 3, ст. 618),—Экономический Совет ССР Грузии постановляет:

1. Утвердить и ввести в действие следующую инструкцию о деятельности междуведомственной комиссии по рассмотрению годовых отчетов государственных хозяйственных предприятий.

В компетенцию междуведомственной комиссии по рассмотрению годовых отчетов государственных предприятий, находящихся на коммерческом расчете, входят:

а) установление правильности применения предприятием форм отчетности, предусмотренных действующими правилами публичной отчетности;

б) установление правильности оценки предприятием отдельных статей баланса и приложений к нему;

в) рассмотрение, на основе годового отчета, хозяйственной деятельности предприятия для выявления целесообразности использования предприятием вложенных в него государственных средств;

г) установление размера прибылей (или убытков) предприятия и способов их распределения (или покрытия);

д) утверждение годового отчета предприятия и разрешение к опубликованию его.

2. Вопросы, подлежащие рассмотрению междуведомственной комиссии, предварительно рассматриваются в технической комиссии, действующей в составе представителей тех же ведомств, что и междуведомственная комиссия.

3. Представителями в техническую комиссию назначаютси ответственные работники-специалисты соответствующих ведомств.

*Примечание*. При рассмотрении отчетов предприятий на заседание междуведомственной и технической комиссий приглашаются, с правом совещательного голоса, руководители и главные бухгалтеры соответствующих предприятий.

4. Председателем технической комиссии назначается один из ее чле-

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ დაინიშნება ერთი მისი წევრთაგანი საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით.

5. საუწყებათაშორისო კომისიისა და ტეხნიკური კომისიის სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს ამა თუ იმ კომისიის ყველა წევრი.

6. იმის გარდა, რომ ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-18 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად ყველა ის შეუთანხმებლობა, რამაც თავი იჩინა საუწყებათაშორისო კომისიაში, განსახილველად ეკონომიურ საბჭოში უნდა იქნეს გადატანილი,—საუწყებათაშორისო კომისია ვალდებულია ერთი თვის ვადაზე, ყველა საწარმოს წლიური ანგარიშების განხილვის დამთავრების შემდეგ, წარუდგინოს საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს თავისი მუშაობის სრული ანგარიში, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს ყველა საკითხი, რაც, ამა ინსტრუქციის 1-ლ და მე-2 მუხ. თანახმად, მის კომპეტენციას შეადგენს.

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი**.

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ფაღავა**.

1926 წ. ივნისის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-134 №-ში 1926 წ. ივნისის 15.

нов постановлением междуведомственной комиссии.

5. Заседаниям междуведомственной и технической комиссий ведутся протоколы, подписываемые всеми членами комиссий.

6. Независимо от предусмотренного ст. 6 постановления Совета Народных Комиссаров ЗСФСР, от 2-го апреля 1925 г. за № 18, перенесения на разрешение Экономического Совета оказавшихся в междуведомственной комиссии разногласий, последняя обязана в месячный срок по окончании рассмотрения годовых отчетов всех предприятий, представлять в Экономический Совет ССР Грузии полный отчет о своей деятельности с освещением всех вопросов, входящих в ее компетенцию, согласно ст.ст. 1 и 2 настоящей инструкции.

Зам. Председателя Экономического Совета ССР Грузии *С. Джугели.*

Зам. Управляющего Делами Экономического Совета ССР Грузии *Б. Пагава.*

1926 г. июня 12.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист" № 134 от 15 июня 1926 г.

Главлит № 1485 Заказ № 2654. Тираж—2000.
3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии.